*დანართი N2*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

სახვითი ხელოვნება

,,ფერწერის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ,,ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ,,ვიზუალური ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ,,თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
,,გრაფიკა/გრაფიკის'' ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
,,გრაფიკა/გრაფიკის'' ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი
2023 წლის 5-7 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

18. 12. 2023
თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ. ...........4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა........................................................ 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან...................................................... 15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა........................................................................................................................ 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........................................................................................................................ 36

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა....................................... 47

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ....................................................................... 54

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები................................................................ 74

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851545 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | პროფესორი იორგ ობერგფელი, TUAS Trier, გერმანია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამარ ჩხეიძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამთა თურმანიძე, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლევან ხარაზიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სოსო გაზდელიანი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანი ქავთარაძე - ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ფერწერა | ფერწერა | ვიზუალური ხელოვნება | თეატრის მხატვრობა | გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება | გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) | მეორე საფეხური (მაგისტრატურა) | პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) | მეორე საფეხური (მაგისტრატურა) | პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) | მეორე საფეხური (მაგისტრატურა) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ხელოვნების ბაკალავრი ფერწერაში | ხელოვნების მაგისტრი ფერწერაში | სახვითი ხელოვნების ბაკალავრი | ხელოვნების მაგისტრი თეატრის მხატვრობაში | ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში | ხელოვნების მაგისტრი გრაფიკაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0213 სახვითი ხელოვნება | 0213 სახვითი ხელოვნება | 0213 სახვითი ხელოვნება | 0213 სახვითი ხელოვნება | 0213 სახვითი ხელოვნება | 0213 სახვითი ხელოვნება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით | აკრედიტებული 21.10.2011 N143 | აკრედიტებული 09.08.2012 N341 | ახალი | აკრედიტებული 09.08.2012 N338 | ახალი | ახალი |

[1](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაარსდა 1922 წელს და მიზნად ისახავს საქართველოში უმაღლესი სამხატვრო განათლების ცენტრის შექმნას. აკადემიაში 100 წლის განმავლობაში მუშავდება და უწყვეტად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში, როგორიცაა ფერწერა და გრაფიკა. ამ დროის განმავლობაში დაგროვილი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე, ხელოვნებაში სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების სინთეზმა განაპირობა ამ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შექმნა. თითოეული პროგრამა ეკუთვნის სახვითი ხელოვნების სფეროს; თუმცა, თითოეულ პროგრამას ასევე აქვს საკუთარი განსხვავებული პროფილი, რომელიც მოიცავს ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სტილისტურ მახასიათებლებს.

რამდენიმე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამამ განიცადა ცვლილებები და შემუშავდა შემდეგი პროგრამები: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნებაში და საბაკალავრო პროგრამა ვიზუალურ ხელოვნებაში. ვიზუალური ხელოვნების პროგრამის გაგრძელებად შემუშავებულია ,,თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)“ სამაგისტრო პროგრამა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2023 წლის 5-7 სექტემბერს აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ენახათ ფერწერისა და გრაფიკის ხელოვნების სტუდიები, ასევე სხვადასხვა საბეჭდი სახელოსნო და კომპიუტერული ოთახები. დავათვალიერეთ არსებული ბიბლიოთეკა და სივრცეები მომავალი ბიბლიოთეკისთვის. ასევე, დავათვალიერეთ მაგისტრატურის სტუდენტების ნამუშევრები.
შეხვედრები გაიმართა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**პროგრამა 1 ფერწერის საბაკალავრო პროგრამა მეტწილად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:**

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
4. **სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა**

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

პროგრამა 1 ფერწერის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

პროგრამა 2 ფერწერის სამაგისტრო პროგრამა მეტწილად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 2 ფერწერის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

პროგრამა 3, „ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 3, „ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

პროგრამა 4, „თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 4, „თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

პროგრამა 5 „გრაფიკა/გრაფიკის" ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 5 „გრაფიკა/გრაფიკის" ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

პროგრამა 6 „გრაფიკა/გრაფიკის" ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 6 „გრაფიკა/გრაფიკის" ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

საერთო შთაბეჭდილებით, ფაკულტეტი შეესაბამება სტანდარტებს და ფაკულტეტის წევრებს შორის იგრძნობა ამხანაგური განწყობა. ვებგვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, შეიცავს არსებით ინფორმაციას, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. აღსანიშნავია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად მონაწილეობდა აკრედიტაციის პროცესში.

სამივე პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, რაც თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ერასმუსის გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო საგამოფენო აქტივობებით, ეს ასევე აღინიშნა გასაუბრებების დროსაც.

პროგრამები შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნილებებთან ადაპტირებულია და იმავდროულად ინარჩუნებს კავშირებს უკვე დამკვიდრებულ ტრადიციებთან.

ყველა პროგრამას აერთიანებს ოჯახური ატმოსფერო, სადაც ფიქსირდება ინტენსიური თანამშრომლობა სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის. ეს მისასალმებელი ასპექტია.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების გამოხმაურება ზოგადად დადებითია, თავი იჩინა გარკვეულმა პრობლემებმაც.

ეს პრობლემები, ძირითადად უკავშირდება რესურსების კუთხით შეზღუდვებს, მათ შორის დროულ მომარაგებასა და მაღალი ხარისხის მასალებზე წვდომას.

დამატებითი რჩევები მოიცავს გაფართოებულ სახელოსნოებსა და საბიბლიოთეკო საათებს, საკითხავ სივრცეებს და სტუდიურ სივრცეებს სამაგისტრო პროექტებისთვის. სტუდენტებს, ასევ,ე სურთ კურატორების და გალერისტების ჩართვა ნაშრომების დაცვის დროს, რათა გაიზარდოს მათი ნამუშევრების ხილვადობა.

პროგრამების გადახედვით, განსაკუთრებით კი გრაფიკის ხელოვნების პროგრამების გადახედვით, დაინერგა უფრო მრავალფეროვანი კურსები. ამ ცვლილებას ყველა დაინტერესებული მხარე მიესალმება.

სტუდენტების ტრანსფერული და პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად, სასურველია ინტერდისციპლინარული სემინარების ან არჩევითი კურსების დამატება, პოტენციურად - არქიტექტურის დეპარტამენტთან თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი კლასგარეშე აქტივობა, ამ აქტივობებს ამჟამად არ აქვთ კრედიტები მინიჭებული.

სტუდენტების მისაღებ კრიტერიუმებში შეტანილმა ცვლილებებმა, მათ შორის სავალდებულო პორტფოლიოს შემოღებამ, შედეგად გამოიღო სტუდენტთა გაუმჯობესებული ხარისხი, თუმცა ყველა დაინტერესებული მხარე არ იყო ინფორმირებული ამ ცვლილების თაობაზე.

უნივერსიტეტს აქვს მყარი სამომავლო სტრატეგია, რომელიც გეგმავს ბიბლიოთეკის გაფართოებას და სახვით ხელოვნებაში დოქტორის ხარისხის შემოღებას.

სტუდენტების უკეთ მოსამზადებლად, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომი შეიცავდეს უფრო მოცულობით წერილობით კომპონენტს, რაც დააკმაყოფილებს სამეცნიერო სტანდარტებს, განსაკუთრებით ისეთ პროგრამებში, როგორიცაა თეატრის მხატვრობა.

უნივერსიტეტის პროაქტიული მიდგომა სამომავლო დაგეგმვისადმი და მისი მჭიდრო კავშირები პროფესიულ დაინტერესებულ მხარეებთან დადებითად აისახება მისი კურსდამთავრებულების პროფესიულ პერსპექტივაზე, რაც ხელს უწყობს დაწესებულების მომავლის ოპტიმისტურ ხედვას.

- რეკომენდაციები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

კლასტერული

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის რეკომენდებულია შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

კლასტერული

- რეკომენდებულია ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის გაზარდა.

**3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები**

**ფერწერა (ბაკალავრიატი)**

- რეკომენდებულია სტუდენტების ნათლად ინფორმირება არჩევითი კურსების შესახებ.

**4.1. ადამიანური რესურსები**

**ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი)**
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

**,,თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**
**კლასტერული**
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.

**4.4. მატერიალური რესურსი**
**კლასტერული**

- რეკომენდებულია აუდიტორიების ტექნიკური დამხმარე საშუალებების მომარაგება, რათა სტუდენტს ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა მასალებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. გარდა ამისა, სამუშაო მასალების დროულად მიწოდება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში.

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც.
- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების

შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული ხასიათი და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

1.1 პროგრამის მიზნები

ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი)

- პროგრამის სახელწოდება უფრო კონკრეტულად უნდა მიუთითებდეს მის მიზანზე, რომ მოამზადოს თეატრისა და კინოს ხელოვანები.

თეატრის მხატვრობა, სამაგისტრო პროგრამა

- მიზანშეწონილია, უფრო მკაფიოდ დაზუსტდეს პრაქტიკაზე დაფუძნებული ზოგადი სამაგისტრო კურსების უპირატესობები ისეთ დარგობრივ კურსებთან შედარებით როგორიცაა სცენოგრაფია, სცენის დიზაინი, კოსტიუმის დიზაინი.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

კლასტერული

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაიზიაროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და გამოიყენოს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რესურსი.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

ფერწერა (მაგისტრატურა)

- სასურველია მეტი კრედიტის მინიჭება ხელოვნების ისტორიისთვის და ნაკლები დეტალური კომპონენტებისთვის, მაგ. სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიციისთვის (თითოეული 5 ECTS).

ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი)

- ნაკლები კრედიტები მიანიჭეთ სპეციალიზებულ საგნებს, როგორებიცაა მაგალითად ფერების ლოგიკური დაჯგუფება / ცივი და თბილი ფერები ფერი/პოლარულობა - კონტრასტი
- - მიზანშეწონილია, დაფიქრდეთ და კინოსთან დაკავშირებული ზოგიერთი არჩევითი საგანი სავალდებულოდ გადაიტანოთ. კინემატოგრაფია უფრო სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამაში და არა მხოლოდ არჩევითი კურსების სახით.

თეატრის მხატვრობა, სამაგისტრო პროგრამა

- მიზანშეწონილია განახორციელოთ უფრო საფუძვლიანი და ზოგადი თეორიული კურსები, მაგ., ხელოვნების ისტორია, წერა, ფილოსოფია, რათა დაეხმაროთ სტუდენტებს თავიანთი იდეების სიტყვიერად და წერილობით გამოხატვაში და ასევე დაეხმაროთ  მათ თავიანთი ნაშრომებისა და კონცეფციების ზუსტად პოზიციონირებაში, თეატრის ისტორიულ და თანამედროვე პრაქტიკაში.

- სასურველია გაიზარდოს ინგლისური ენის სწავლების დრო. ამავდროულად, მეტი ყურადღება გაამახვილეთ ფერწერისთვის საჭირო ლექსიკის გამდიდრებაზე;

– სასურველია გაიზარდოს შემდეგი სასწავლო კურსების სწავლების დრო – „ფერწერის ტექნოლოგია“, „ანატომია“;

- სასურველია, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინოთ სტუდენტების მოთხოვნები შემდეგი სასწავლო კურსის დამატებასთან დაკავშირებით: კულტურის მენეჯმენტი;

- იმის გათვალისწინებით, რომ კურსი მოიცავს პრაქტიკის ასეთ მრავალფეროვან სფეროს, კარგი იქნება, რომ სტუდენტებს შესთავაზოთ მეტი არჩევანის თავისუფლება, მაგალითად, არჩევითი კურსები ან ალტერნატიული კურსები თვითშერჩეული სპეციალიზაციისთვის.

- კარგი შესაძლებლობა იქნება  დარგთან დაკავშირებული ისეთი  ლექტორების მოწვევა, რომლებიც ჩაატარებენ ლექციებს უცხო ენებზე.

გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა)

- სასურველია ტიპოგრაფიის სპეციალური კურსის შეთავაზება მაგალითად  კომპოზიციასთან ერთად.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

ფერწერის საბაკალავრო პროგრამა

მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე აისახოს საგნების „ვექტორული გრაფიკა“ და „რასტრული გრაფიკა“ შესაძლებლობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს შექმნას ნამუშევარი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

2.1. პროგრამაზე  დაშვების წინაპირობები

კლასტერული

- მაგისტრატურაში  სპეციალობის მისაღები გამოცდის შინაარსი მითითებული უნდა იყოს აკადემიის ვებგვერდზე.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/
შემოქმედებითი/ საშემსრულებლო  და ტრანსფერული უნარების განვითარება

კლასტერული

- სასურველია კონტაქტის გაფართოება დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.
- უნდა იყოს უფრო მეტი პრაქტიკული პროექტები, მაგალითად, პოსტერების კონკურსები და გამოფენები აკადემიის გარეთ.

ფერწერა (ბაკალავრიატი)

- შეიძლება მეტი ყურადღება გამახვილდეს პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სხვადასხვა უნარების გამოყენების შესაძლებლობებზე. განსაკუთრებით ექსპოზიციის პრაქტიკა, როგორც ჩანს, საკმაოდ ზღვრულია კრედიტების თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ მის მნიშვნელობას ჰოლისტიკური უნარების გამოყენებასა და კურსდამთავრებულ ხელოვანთა მომავალ პრაქტიკაში.

ფერწერა (მაგისტრატურა)

- უნდა ჩატარდეს მეტი გამოფენა.
- სახვითი ხელოვნების მაგისტრატურის საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მკაცრად მიზანშეწონილია პრაქტიკული ნაწილის შესახებ ესეს დაწერა აკადემიური სტანდარტების დაცვით.

გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი)

- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით, სასწავლო მიზნებისა და სწავლის შედეგების შესასრულებლად, მიზანშეწონილია, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის უფრო ძლიერი დანერგვა და კომპიუტერული პროგრამების უკეთესი მახასიათებლები, მაგალითად ანიმაციისთვის.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

კლასტერული

მიანშეწონილია, მეტი მხარდაჭერა შესთავაზონ სტუდენტებს მატერიალური რესურსების კუთხით.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

კლასტერული

- დიპლომის დაცვისას სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რაოდენობა, რათა უფრო კომპეტენტურმა პირებმა ნახონ და შეაფასონ სტუდენტების მუშაობა.

- სასურველია, სადიპლომო ნაშრომის წერილობითი ნაწილი, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე, უფრო წარმომადგენლობითი გახდეს, სადაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდება შესაბამისი სამეცნიერო კვლევა.

თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება)

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მდგრადობა, სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელად მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდით.

გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა)

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მდგრადობა, სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელად მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდით.

4.1. ადამიანური რესურსები

გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი)
- მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამებში, სპეციალობის სფეროში.

გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა)
- მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამებში, სპეციალობის სფეროში.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

კლასტერული
- მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.

4.4. მატერიალური რესურსი
კლასტერული
- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის მასალებზე, რომელთა გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად.

4,5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
კლასტერი: ბიუჯეტი უნდა გამოიყოს პრაქტიკისა და საველე სამუშაოებისათვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევისათვის.

ფერწერა (ბაკალავრიატი)
- ბიუჯეტში არსებული ნამატის გათვალისწინებით, მეტი თანხა შეიძლება გამოიყოს სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო მასალებით.

ფერწერა (მაგისტრატურა)

- ბიუჯეტში არსებული ნამატის გათვალისწინებით, მეტი თანხა შეიძლება გამოიყოს სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო მასალებით.

თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა

- იმისათვის, რომ პროგრამა უფრო მდგრადი გახდეს, თავიდან უნდა იქნას აცილებული უარყოფითი ბალანსი.

გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა)

- მეტი თანხა შეიძლება დაიხარჯოს სტუდენტებისთვის მხატვრული მასალების მიწოდებაზე.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

კლასტერული

- მოწვეული ლექტორები ჩართულნი უნდა იყვნენ პროგრამისა და სილაბუსების მოდიფიცირების პროცესში.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აკონტროლოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ შეფასების შედეგების მიღება.

5.2. გარე ხარისხის შეფასება

კლასტერული

- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიიღონ კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისათვის, თუნდაც საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

კლასტერული

- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

ყოველი სემესტრის დასაწყისში იმართება შეხვედრები სემესტრული აქტივობების კოორდინაციის მიზნით.

[3]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

თანამშრომლობა გარე დაინტერესებულ მხარეებთან: ბეჭდვის სახელოსნოს თანამშრომლობა Art Gallery Vanda-სთან.

სტუდენტების შესაძლებლობა ჩაერთონ ფილმის გადაღების რეალურ პრაქტიკულ სამუშაო პროცესში

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ზოგადად, ექსპერტები ხედავენ უსდ-ის ძალისხმევას რეკომენდაციების განსახორციელებლად და აცნობიერებენ, რომ ადგილზე ვიზიტის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები უკვე განხორციელდა. უსდ-ს პასუხის გამო 3 რეკომენდაცია (1.4 , 1.5 და 2.1) ამოღებულია. ყველა დანარჩენი დარჩა უცვლელი.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

კლასტერული

- ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ თსსა-ს არგუმენტი საკმარისად ძლიერი არ არის რეკომენდაციის ამოსაღებად. უსდ წერს, რომ მათ აქვთ ნიშნულები. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი რაიმე ნიშნული და ისინი ძალიან ზოგადი იყო ასეთი პრაქტიკული სფეროსათვის. ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი არ იცნობდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურას ნიშნულებზე დაყრდნობით.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

ფერწერა (ბაკალავრიატი)

- ექსპერტები ეთანხმებიან უსდ-ს არგუმენტაციას, რომ შეთავაზებულია საკმარისი რაოდენობის არჩევითი კურსები. ამიტომ რეკომენდაცია ამოღებულია.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

კლასტერული

- ექსპერტების პოზიცია უცვლელი რჩება. აღიარებულია, რომ თსსა-ს მიერ გარკვეული წარმატებული ქმედებები განხორციელდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რადგან სპეციალური ლიტერატურა ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.
- რეკომენდაცია სილაბუსებში წიგნების არასრულად მითითების შესახებ ამოღებულია, რადგან ეს გამოსწორდა თსსა-ს მიერ.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

კლასტერული

- თსსა-ს ვებგვერდზე დაშვების პროცედურების შესახებ ინფორმაციის განხილვის შემდეგ დამტკიცდა დაწესებულების პოზიცია მიღებულ იქნა და აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულია.

4.4. მატერიალური რესურსები

კლასტერული

რეკომენდაცია დარჩა უცვლელი, როგორც თანდართული მასალებიდან ირკვევა, ყველა აქტივობა განხორციელდა ვიზიტის შემდგომ პერიოდში.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

უსდ აცხადებს, რომ შესაბამისი შეფასება განხორციელებულია. მაგრამ ადგილზე ვიზიტის დროს გამოგზავნილ იქნა მხოლოდ კითხვარი და არა შეფასების შედეგები. რეგულაციის თანახმად, ნებისმიერი ახალი დოკუმენტი ვერ ცვლის რეკომენდაციას.

- •ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება [5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |

[4]**შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4,5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სპეციალისტების მომზადებაა. კლასტერში შემავალი პროგრამების მიზანია მხატვრობის, გრაფიკული ხელოვნების, ვიზუალური ხელოვნების (მათ შორის თეატრისა და კინოს/ტელევიზიის მხატვრობის კომბინირებული პროგრამის სახით ბაკალავრიატის დონეზე) და თეატრის მხატვრობის უნარების გამომუშავება.

პროგრამები მიზნად ისახავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების აღზრდას, რომლებიც მოემსახურებიან საქართველოს მდიდარ კულტურას და ხელს შეუწყობენ მის განვითარებას. კლასტერის მიზანია ბაკალავრიატის სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა სახვითი ხელოვნების სფეროში პროფესიული ეთიკის ზოგადი პრინციპების, მიდგომების, თანამედროვე თეორიებისა და ნორმების შესახებ. მისი მიზანია გააცნოს სტუდენტებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სფეროს სპეციფიკა. სამაგისტრო დონეზე, მიზანია სტუდენტებმა გაიღრმავონ ცოდნა, როგორც ზოგადად სახვითი ხელოვნების კლასიკურ დისციპლინებში, ასევე მათი არჩეული სფეროსთვის დამახასიათებელ პრინციპებში, მიდგომებში, თანამედროვე თეორიებსა და პროფესიული ეთიკის ნორმებში.

ზოგადად, საბაკალავრო კურსები გთავაზობთ მტკიცე საფუძველს, რომელიც ეფუძნება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მრავალწლიან ტრადიციას.
ეს ტრადიცია უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული ასპექტების მკაფიოდ ჩამოყალიბებას და მიღწევას. უახლესი თეორიული შინაარსისა და საგნების თვალსაზრისით, პროგრამების თანმიმდევრულობის გაუმჯობესება შესაძლებელია, მაგალითად სამაგისტრო კურსებისთვის უფრო თეორიული მიზნებისკენ სწრაფვით.
არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო მიზნები, თუმცა შეიძლება იყოს მეტი აქტივობა და პარტნიორებთან გაცვლითი პროგრამები, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში.
ინფორმაცია კარგად არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე, თუმცა ინგლისურ ენაზე მოწოდებული ინფორმაცია შეზღუდულია ქართულთან შედარებით, მაგ., კურსის აღწერა.

**ფერწერა (ბაკალავრიატი)**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამა მიზნად ისახავს დარგის კვალიფიციური სპეციალისტების განათლებას, რომლებიც გაუძღვებიან ფერწერაზე მუშაობის პროცესს და შეძლებენ თავიანთი იდეების გადმოცემას მშობლიურ და უცხო ენაზე. ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და კომპოზიციურ პრაქტიკაში მყარი საფუძვლის გარდა, ეს აშკარად გათვალისწინებულია სხვადასხვა კურსების საშუალებით, მაგალითად, უცხო ენა 1-4, კულტუროლოგიის საფუძვლები, ხელოვნების ისტორია, ექსპოზიცია და ა.შ.

გარდა ამისა, პროგრამის გადახედვის შემდეგ, ციფრული სწავლება, რომელიც მოიცავს რასტრული და ვექტორული გრაფიკის უნარებს, შესანიშნავად ინტეგრირდა სასწავლო გეგმაში.

მთლიანობაში, ცვლილებები პროგრამას უფრო ადაპტირებულს ხდის თანამედროვე მოთხოვნილებებზე და თანაც უარს არ ამბობს მის ძლიერ ტრადიციაზე. ეს დაადასტურეს შრომის ბაზრის დაინტერესებულმა მხარეებმაც.

**ფერწერა (მაგისტრატურა)**

ფერწერის შეცვლილი პროგრამა გთავაზობთ მეტ მოქნილობას და უფრო მეტ ფოკუსირებას ისეთ საგნებზე, როგორიცაა შემოქმედებითი პედაგოგიკა, პრეზენტაციის უნარები, ვიზუალური ინოვაციები / კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ან Adobe Creative Suite, ეს ყველაფერი შესაფერისია პროგრამის შედეგების თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის.

**ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი)**

ტერმინი ვიზუალური ხელოვნება ზედმეტად ფართო და არასპეციფიკურია იმისათვის, რომ ზუსტი წარმოდგენა შექმნას პროგრამაზე, რადგან ეს კურსი მჭიდროდ არის დაკავშირებული სცენოგრაფიის მხატვრობასთან და მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას კინოსა და თეატრის მხატვრობაში. საერთაშორისო კონტექსტში, ტერმინი ვიზუალური ხელოვნება მოიცავს ხელოვნების ყველა ვიზუალურ ფორმას, მაგალითად, ხმის ხელოვნებისგან განსხვავებით.

პროგრამის აღწერა ასახელებს შემდეგ მიზნებს:
პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს შემოქმედებითი პროექტის (სპექტაკლი, ფილმი და ა.შ. ) დაგეგმილ ვადებში განხორციელებისთვის გამოუმუშაოს დროის სწორად დაგეგმვისა და სამუშაო პროცესის ორგანიზების უნარი. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს გადაწყვიტოს კომპოზიციური ამოცანები კინო/ტელე თუ თეატრალური ხელოვნების მხატვრული სახის შექმნის პროცესში. გახდეს ადგილობრივი და საერთაშორისო კინოს, ტელევიზიისა და თეატრის არტისტი. შესძინოს ახალი მედიებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ადექვატურად და ეფექტურად გამოყენების კომპეტენციები. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ეს მიზნები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მიმართულია ქართული კინოსა და თეატრის წარმოების გარკვეულ ტიპზე. თუმცა, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ პოზიციონირებს პროგრამა სცენოგრაფიის კურსებთან მიმართებაში ან კინოს წარმოებაში, განსაკუთრებით საერთაშორისო კონტექსტში. შედარების რუქაზე არ არის

დასახელებული შესადარებელი პროგრამა. ეს შეიძლება იყოს პროგრამისთვის შესაძლებლობა, მაგრამ ასევე დიდი გამოწვევა.

**თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფია) , მაგისტრატურა**

პროგრამას აქვს ფართო, ზოგადი მიზნები, რომლებიც მოიცავს თეატრის წარმოების თითქმის ყველა ასპექტს, მაგ., ფერწერა/ფერადი დრამატურგია, თეატრალური დეკორაციის აწყობა, იმიტაცია , თეატრალური კოსტუმი, პლაკატი, მაკიაჟი, პროექტის მენეჯმენტი. ყველა ამ საგნისთვის არის სპეციალიზებული კურსები სხვა უსდ-ებში. სამწუხაროდ, თვითშეფასების ანგარიშში არ არის მკაფიოდ დასახელებული პროფილები თეატრის სპეციალიზებულ კურსებთან დაკავშირებით.

**გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი)**

ახალ პროგრამაში გაერთიანებულია ისეთი კურსები, რომლებიც ადრე ცალცალკე ისწავლებოდა , როგორიცაა დაზგური გრაფიკა, წიგნის დიზაინი, ილუსტრაცია, პლაკატის დიზაინი და ანიმაცია- ესენი ერთ ყოვლისმომცველ კურსში გაერთიანდა. ეს ინტეგრაცია მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა პროფესიული უნარების ამაღლებას და, შესაბამისად, მათი დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სარეკლამო სააგენტოებში, წიგნის გამომცემლებში, მუზეუმებში, სამხატვრო გალერეებში, მასმედიაში, კორპორატიულ ფირმებში ან დამოუკიდებელ წარმოებაში.

განახლებული სასწავლო გეგმა გთავაზობთ კურსის მიზნების სრულყოფილ ჩამონათვალს, რომელიც შეესაბამება დღევანდელი სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება დამსაქმებლების გარე შეფასებებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თავიანთი ინდივიდუალური ინტერესები არჩევითი კურსების მრავალფეროვანი სპექტრით. პროგრამის მიზნები მოიცავს ტრადიციული ბეჭდვის ტექნიკის ფართო სპექტრს და ასევე ციფრული წარმოების თანამედროვე მეთოდებს.

**გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა)**

პროგრამა არის საბაკალავრო პროგრამის ლოგიკური გაგრძელება მეტი არჩევითი კურსებით, რითაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს სპეციალიზირდნენ და საკუთარ ინტერესებს მოარგონ სასწავლო მიზნები. როგორც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, აქაც პროგრამის მიზნები განახლდა, რათა მოიცავდეს, მაგალითად, უცხო ენისა და ციფრული ტექნიკის უფრო მეტ კურსებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ვებგვერდი
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსი
- სწავლის შედეგების რუკა - ფერწერა-მაგისტრატურა
- ანალიზისა და შედარების დოკუმენტი

**რეკომენდაციები - რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები**

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- პროგრამის სახელწოდება უფრო კონკრეტულად უნდა მიუთეთებდეს მის მიზანზე, რომ მოამზადოს თეატრისა და კინოს ხელოვანები.

პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- მიზანშეწონილია, უფრო მკაფიოდ დაზუსტდეს პრაქტიკაზე დაფუძნებული ზოგადი სამაგისტრო კურსების უპირატესობები ისეთ დარგობრივ კურსებთან შედარებით როგორიცაა სცენოგრაფია, სცენის დიზაინი, კოსტიუმის დიზაინი.

შეფასება [6]

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | x | ☐ | ☐ | ☐ |

[6] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკული ხელოვნება, ბაკალავრიატი) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშში სწავლის შედეგებს შორის დასახელებულია არჩეული სპეციალობების ტექნიკების, ტექნოლოგიებისა და სტილისტური მახასიათებლების ფართო ცოდნა. გარდა ამისა, კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური მსჯელობის უნარები და დამოუკიდებლად და ჯგუფურ გარემოში მუშაობის უნარი. ეს კარგად არის ასახული კურსებში, სადაც ძირითადი სწავლება ეფუძნება ტრადიციებს და ასევე ახალ არჩევით კურსებში. ამ კურსებისთვის გათვალისწინებული იყო დამსაქმებლების რეკომენდაციები . სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ გათვალისწინებული დატვირთვა რეალურია. თვითშეფასების ჯგუფში შედიოდა ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარე.

საერთო ჯამში, ძლიერ არის ყურადღება გამახვილებული კომპოზიციასა და ტექნიკაზე, თუმცა შეინიშნება პროექტზე დაფუძნებული და ინტერდისციპლინური ასპექტების შეთავაზების ნაკლებობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)**

კურსის აღწერაში მთავარ სწავლის შედეგებად სახელდება დაზგური ფერწერის სხვადასხვა პერიოდის ტექნიკური, ტექნოლოგიური და სტილური
მახასიათებლების ცოდნა და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის, კულტუროლოგიის, ხელოვნების ისტორიისა და უცხო ენების ცოდნა. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი თეორიული ცოდნა მხატვრულ საქმიანობაში. ისინი ეუფლებიან შუქჩრდილების კომპოზიციების შექმნას და აღიარებენ აკადემიური განათლების დაგეგმვისა და გაგრძელების მნიშვნელობას პროფესიული კომპეტენციების ამაღლების მიზნით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)**

პროგრამის მიზანია, აღზრდოს მხატვარ-ფერმწერი, რომელსაც ექნება მონუმენტური და დაზგური ფერწერის სტილისტიკისა და ტექნოლოგიის კვლევაზე დაფუძნებული დარგისა და ქვედარგების ღრმა, სისტემური ცოდნა და ასევე მიზანია, სტუდენტს შესძინოს მონუმენტური კედლის მხატვრობის ტრადიციულ ტექნოლოგიების (ალ სეკო, ალ ფრესკო) სფეროში ცოდნა. პროგრამის კურსდამთავრებული მხატვრულ ფორმაში შეძლებს, მოცემულ იდეის სწორ, ლაკონურ და მიზანმიმართულ გააზრებასა და ჩამოყალიბებას. ამის მისაღწევად სტუდენტებს აქვთ ცოდნა თანამედროვე ხელოვნების თეორიისა და ხელოვნების ისტორიის შესახებ. საერთაშორისო კონტექსტში პოზიციონირებისთვის მათ შეუძლიათ კომუნიკაცია და წერა უცხო ენაზე, მათ შორის იციან ფერწერული ტერმინოლოგია.

**აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი)**

სტუდენტები ეუფლებიან სახვითი ხელოვნების ძირითად დისციპლინებს (ფერწერა, ხატვა, კომპოზიცია). სტუდენტები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენტენციებს მხატვრული იდეის ვიზუალიზაციისთვის; ახდენენ დრამატურგისა და
რეჟისორის ჩანაფიქრის ვიზუალიზაციას და მრავალფეროვანი სპეციფიური სახვითი
ხერხების საშუალებით ქმნიან სპექტაკლისა თუ კინოფილმის მთლიან მხატვრულ სახეს. სტუდენტებს აქვთ ფართო ცოდნა ხელოვნების ისტორიაში. ისინი ასევე სწავლობენ უცხო ენას, აძლიერებენ თავიანთ მხატვრულ უნარებს და კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო კინოს, სატელევიზიო და თეატრალურ ხელოვნებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები ძალიან ფართო და ზოგადია. თუმცა, მკაფიოდ არ არის გამოხატული, სწავლის შედეგები უფრო ოპტიმიზირებულია თეატრისა და კინოსათვის თუ ფერწერის საბაკალავრო პროგრამის მსგავსი უნარებიკენ იხრება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა)**

პროგრამის აღწერა ასახელებს შემდეგ ძირითად სწავლის შედეგებს: თეატრის მხატვრობის სისტემატური ცოდნა, მათ შორის სცენოგრაფიის ისტორიის. ახალი მხატვრული კონცეფციების შემუშავება და ამ ცოდნისა და იმპულსების ტრანსფორმაცია სამგანზომილებიან, ერთიან დიზაინში სპექტაკლის/ნომრის/მოქმედების/ოპერის/ბალეტისთვის და ა.შ. სტუდენტებს აქვთ ცოდნა და იყენებენ თანამედროვე ხელოვნების თეორიებს, ფლობენ უცხო ენებს და ხელოვნების ისტორიას. სტუდენტები ფლობენ გუნდური მუშაობის უნარებს შემოქმედებით ჯგუფთან, რეჟისორთან, მსახიობებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კურსების ფართო სპექტრს მხატვრული, სტენოგრაფიული წარმოების ძირითადი ასპექტების შესახებ. თუმცა არის იმის მცირე საშიშროება, რომ სტუდენტებს არ დარჩეთ საკმარისი ადგილი, ინდივიდუალური სწავლის შედეგების მორგებისთვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება ხელოვნება – ბაკალავრიატი)**

კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტები ეუფლებიან გრაფიკულ ნახატს და ფერწერის შექმნის მეთოდს, მხატვრულ მეთოდებს, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მახასიათებლებს, კომპოზიციის გამოყენებას და გრაფიკულ მხატვრულ/კრეატიულ პროექტზე მუშაობისას დროის სწორად დაგეგმვასა და სამუშაო პროცესის ორგანიზებას. მათ შეუძლიათ, შეაფასონ გრაფიკული ნაშრომის მხატვრულ-ესთეტიკური

ღირებულება და შეუძლიათ კრიტიკის სიტყვიერად გამოხატვა. სწავლის შედეგები კარგად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და გვთავაზობს ლოგიკურ დაბალანსებულ მიდგომას ხელნაკეთობას, ციფრულ მედიას, კონცეფციასა და თეორიას შორის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება – მაგისტრატურა)**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილია ესთეტიკური, ისტორიული, კულტურული ცოდნითა და განსჯით. ისინი ეუფლებიან და ინოვაციურად მუშაობენ Adobe Photoshop, Adobe InDesign და Adobe Illustrator-ზე. მათ შეუძლიათ, შეძენილი უნარები გამოიყენონ საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ძირითადად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათ შეუძლიათ არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე; აქვთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და გამოყენების უნარი. არჩევითი კურსების მთელი რიგის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი სწავლის შედეგების ინდივიდუალურად მორგება. სამაგისტრო პროგრამისთვის არის უმნიშვნელოდ გადაჭარბებული ხაზგასმა კომპოზიციურ კურსებზე, მაგრამ კურსების უმეტესობა გვთავაზობს კვლევისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს, რაც მნიშვნელოვანია ინდივიდუალური პროფესიული თვითგანვითარებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- **თვითშეფასების ანგარიში**
- **ინტერვიუები**
- **ვებგვერდი**
- **აღწერა ფერწერის პროგრამა**
- **სწავლის შედეგების რუკა;**

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკული ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტმა კლასტერულ თვითშეფასების ანგარიშში წარმოადგინა სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები. სტუდენტი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად აითვისა პროგრამით გათვალისწინებული კურსი. ფასდება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის შედეგები. არაპირდაპირი შეფასებისთვის უნივერსიტეტმა წარმოადგინა: პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განხორციელებაში

ჩართული აკადემიური პერსონალის/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები; პროგრამაში მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები აღწერილია პროგრამული სწავლის შედეგების შეფასებისა და სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების წესში. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. პერიოდულად ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ძალიან ზოგადი მიდგომით ხორციელდება ყველა პროგრამისთვის. პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს ძალიან ზოგადი შეხედულება შეფასების მექანიზმებისა და პროგრამის რეალური სამიზნე ნიშნულების შესახებ. ასევე, მათ ვერ განმარტეს ინდივიდუალური გეგმა რომელიც სასწავლო კურსის შედეგზე გადის, რაც არსებითი მნიშვნელობისაა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა თითოეული პროგრამისთვის უნდა შექმნას კონკრეტული სამიზნე ნიშნულები. სტუდენტების აკადემიური მოსწრება სრულად არ აღწერს, რამდენად წარმატებით აღწევენ ისინი პროგრამის სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტმა ასევე უნდა გაიზიაროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების სამიზნე ნიშნულების შესახებ და გამოიყენოს ეს რესურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერის პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების წესი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის, რეკომენდირებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

კლასტერის საერთო რჩევები:

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაიზიაროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და გამოიყენოს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რესურსი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკული ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

**➢პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.**

**➢პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.**

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კლასტერში შემავალი პროგრამები (,,ფერწერის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ,,ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ,,ვიზუალური ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ,,თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ,,გრაფიკა/გრაფიკის'' ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ,,გრაფიკა/გრაფიკის'' ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) შეადგინა სამხატვრო აკადემიის საბჭომ და დაამტკიცა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესის მიხედვით. კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობითა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით დადგენილი წესით. საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია შიდა და გარე მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. შემუშავებულია პროგრამის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, სადაც განისაზღვრება დაგეგმილი ღონისძიებების პერიოდულობა. სამუშაო ჯგუფის მიერ

სრული პროგრამის პაკეტის შემუშავებაში მონაწილეობენ პროფესორები, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. განახლებულ პროგრამაში განისაზღვრება არჩევითი და სავალდებულო კურსები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მრავალფეროვანი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კლასტერში წარმოდგენილი სხვადასხვა საფეხურის პროგრამების შინაარსი სრულ შესაბამისობაშია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის განათლების საფეხურების მოთხოვნებთან და ითვალისწინებს შესაბამისი პროგრამის მისაღებ მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობა არის 8 და 4 სემესტრი და მოიცავვს 240 და 120 კრედიტს (შესაბამისად). პროგრამის სტრუქტურაში, სასწავლო გეგმაში, სწავლის თანმიმდევრობა, პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები, სავალდებულო და არჩევითი კურსები განლაგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების წარმატებულ მიღწევას. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აგებულია თანმიმდევრობით, ისე, რომ ბაკალავრიატის დამამთავრებელ სტუდენტს საშუალება ჰქონდეს ცოდნის კონსოლიდაციისა და ახალი უნარების შეძენის. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. საგნების წინაპირობები არის ადეკვატური და აუცილებლობაზე დაფუძნებული, რაც ხელს უწყობს სტუდენტის განვითარებას კურსიდან კურსამდე. პროგრამის მიდგომები ხელს უწობს ძველი, კლასიკური მეთოდით სწალებას და ასევე მოიცავს თანამედროვე ხელოვნების ელემენტებს, რომელის სტუდენტს საშუალებას აძლევს განივითაროს ცოდნა, როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე ტექნიკებისა და საშუალებების მხრივ და მოახდინოს მათი კომბინირება, თუ საჭიროა.
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. სტუდენტების და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყენებს გაცვლით პროგრამებს, და ვორქშოფები და გამოფენები ორგანიზებულია უცხოელი ხელოვანების მონაწილეობით. ინტერვიუს განმავლობაში, სტუდენტებმა ახსენეს, რომ მათ სურთ გაცვლითი პროგრამები დასავლეთ ევროპის მიმართულებით გაფართოვდეს.

პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თუმცა ინტერვიუს დროს, გამოვლინდა, რომ სტუდენტებს ჯერ კიდევ არ უნახავთ სილაბუსები, რადგან არ არსებობს ელექტრონული პროგრამა სადაც ეს სილაბუსები იქნება განთავსებული. ბიბლიოთეკაში, ქართული და უცხოული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, თუმცა ქართულენოვანი ლიტერატურა მცირეა. ახალი პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის სწავლებას, რაც ნიშნავს ინგლისური ენის სწავლებას პროფესიული მიმართულებით. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამების შემუშავებისთვის გამოყენებული იქნა უცხოური მაგალითები.
კლასტერში კურსების სივრცითი სიახლოვე იძლევა იდეალურ გარემოს ინტერდისციპლინური კურსებისა და თანამშრომლობისთვის, მაგალითად, ფერწერული გამოფენები პლაკატებით და ბუკლეტებით, რომლებიც შექმნილია გრაფიკის სტუდენტების მიერ და ა.შ. თუმცა, მსგავსი აქტივობები და პროექტები არ არის დოკუმენტირებული და არ იყო ნახსენები ინტერვიუების დროს.
პროგრამის რეფორმასთან ერთად დაემატა არჩევითი კურსი სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მაგ., დამსაქმებლების რეკომენდაციების გათვალისწინებით. ეს კურსები გამიზნულია ლოგიკური აზროვნების, ასევე დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარების გასავითარებლად, თუმცა სცენოგრაფიისა და მხატვრობის პროგრამის გარდა სხვა შემთხვევაში ჯგუფური პროექტები არ ყოფილა წარმოდგენილი, ხოლო სცენოგრაფიისა და მხატვრობის პროგრამის შემთხვევაში მხოლოდ ჯგუფური პროექტი იყო წარმოდგენილი და არ იყო ინდივიდუალური პროექტი.

ტექნიკური, ტრადიციული კურსების და თანამედროვე და თეორიული კურსების კავშირი კარგად არის დაბალანსებული პროგრამის მიზნების მიხედვით. თუმცა, როგორც ჩანს, ყველა სტუდენტმა არ იცოდა არჩევითი კურსების შესახებ.

სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს სურვილი: შედარებით მეტი დრო გაატარონ თავიანთ სახელოსნოებსა და ბიბლიოთეკაში; საერთაშორისო მობილობის/გაცვლითი პროგრამები უფრო აქტიური უნდა იყოს, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში; უნდა გაიზარდოს ინგლისური ენის სწავლების ხანგრძლივობა, მეტი ყურადღება დაეთმოს ფერწერის შესაბამისი ტერმინოლოგიის შესწავლას.

სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს სურვილი გაიზარდოს „ფერწერის ტექნოლოგიის“ და „ანატომიის“ კურსებისთვის განკუთვნილი დრო. ასევე დაემატოს საგანი: კულტურის მენეჯმენტი;

არჩევით კურსებთან დაკავშირებით ჩნდება შეკითხვები: როგორც გამოვლინდა ინტერვიუს დროს, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ არჩევითი კურსები, თუმცა მათ უნივერსიტეტი პირდაპირ აძლევს საგნების სიას და სტუდენტებს არ შეუძლიათ თავად აირჩიონ სასურველი საგანი.

**პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)**

ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესებისა და პროცედურების“ მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა თავისი შინაარსით, მოცულობითა და სირთულით შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, საიდანაც კრედიტები ეთმობა სპეციალობის არჩევით კურსებს და საუნივერსიტეტო არჩევით კურსებს.

• საბაზისო სასწავლო კურსები - 18 ECTS, რაც პირდაპირ მონაწილეობს სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებაში;
• სპეციალობის სასწავლო კურსები - 140 ECTS, ემსახურება ფერმწერის კვალიფიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენას;
• საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 36 ECTS, საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ზოგადი განათლება (მაგალითად, ქართული ხელოვნების ისტორია, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, უცხო ენები და ა.შ.)
• სპეციალობის არჩევითი კურსები - 46 ECTS, საშუალებას აძლევს სტუდენტს აირჩიოს საგანი, რათა შეიძინოს დამატებითი ცოდნა არა მარტო ფერწერის, არამედ ხელოვნების სხვა დარგების შესახებ; საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 18 ECTS, აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას აირჩიოს საგანი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც გააუმჯობესებს მისი მომავალი სპეციალობის საკვალიფიკაციო ხარისხს;
• საბაკალავრო ნაშრომი - 20 ECTS - რომელიც ემსახურება საბაკალავრო პროგრამაში მიღებული ცოდნის შეჯამებას და შესაბამისი უნარების გამოვლენას.

სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ არჩევითი საგნების ჩამონათვალი არ არის მრავალფეროვანი და სასარგებლო იქნება არჩევითი საგნების მოცულობის გაზრდა, რაც დაეხმარება სტუდენტებს ძირითადი სპეციალობის გარდა სხვა სპეციალობების დაუფლებაში.

პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ გამოავლინა მათი აქტიური ჩართულობა პროფესიული

ინგლისურის საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში . პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გაითვალისწინა ყველა ამ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა/მოთხოვნილება და გადაწყვიტა დაემატებინა ინგლისური ენის პროფესიული კურსი.

**პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)**

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამა მოიცავს კრედიტებს, საიდანაც კრედიტები ეთმობა სპეციალობის არჩევით კურსებს და საუნივერსიტეტო არჩევით კურსებს. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი. 4 სემესტრი. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 38 სასწავლო კვირას. პირველი სემესტრის ხანგრძლივობა - 18 კვირა (15 - სასწავლო კვირა, 3 - სესიული) II სემესტრის ხანგრძლივობაა 20 კვირა (15 - აკადემიური კვირა, 3 - სესიური, 2 - პრაქტიკული). საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ხელოვნების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფერწერაში. ხარისხს ახლავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოდელით გაცემული დიპლომი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. იგი მოიცავს სავალდებულო კურსებს და არჩევით კურსებს.

ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ წვდომა ისეთ სამუშაო მასალაზე, რომელიც ძვირია და შეიძლება მრავალჯერ გამოიყენონ სადიპლომო ნამუშევრების შესაქმნელად.

ზოგიერთი საგანი, როგორიცაა კომპოზიცია, იყოფა ძალიან დეტალურ კომპონენტებად, როგორიცაა სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, თითოეულს ენიჭება 5 ECTS. შედარებისთვის, სხვა მნიშვნელოვანი კურსები, როგორიცაა თანამედროვე ხელოვნების ისტორია, იღებენ მხოლოდ 3 ECTS-ს. კრედიტების ეს განაწილება შეიძლება არაპროპორციულად მაღალი ჩანდეს კომპოზიციის კომპონენტისთვის, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

**პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება – ბაკალავრიატი)**

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე˜. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი. 8 სემესტრი. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 38 სასწავლო კვირას. პირველი სემესტრის ხანგრძლივობა - 18 კვირა (15 - სასწავლო კვირა, 3 - სესია) მეორე სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა (15 - აკადემიური კვირა, 3 - სესიური, 2 - პრაქტიკა). საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ფერწერის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეძლევა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მოდელის დიპლომი.

პროგრამაში სასწავლო კურსები ლოგიკურად და აზრობრივად არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

პროგრამის ინდივიდუალობა ვლინდება სავალდებულო-არჩევითი ბლოკების შეთავაზებით, სადაც დაჯგუფებულია ერთმანეთთან შინაარსობრივად მჭიდროდ დაკავშირებული სასწავლო კურსები , რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ცოდნა.

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს შემოქმედებითად გამოსახოს პლასტიკური ფორმის სხვადასხვა ელემენტები, როგორიცაა ფორმა, მოცულობა, ფერი, სივრცე და რიტმი, სახვითი ხელოვნების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების აღჭურვას საჭირო უნარ-ჩვევებით, რათა ეფექტურად გამოიყენონ ახალი მედია და კომპიუტერული ტექნოლოგიები მხატვრული იდეების ან დრამატული ტექსტების ვიზუალიზაციაში.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატის სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ და გაიღრმავონ ცოდნა სასურველ სპეციალობაში, მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელებით.

სპეციალიზებულ საგნებს, როგორებიცაა მაგალითად ფერების ლოგიკური დაჯგუფება / ცივი და თბილი ფერები ფერი/პოლარულობა - კონტრასტი - ზედმეტად მაღალი კრეტიდები აქვთ მინიჭებული. ეს ეწინააღმდეგება პროგრამის უფრო განზოგადებულ ამბიციას.

მხატვრის ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს პიესის ან ფილმის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, პერსონაჟების ბუნების გამოვლენაში, ან ზოგადად დრამატურგიული შინაარსის შესაბამისი გარემოსა და ატმოსფეროს შექმნაში. აღნიშნულ პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო კურსებშიო აქცენტი კვლავ კეთდება ფერწერაზე და არის რამდენიმე საგანი თეატრის მიმართულებით (დეკორაციის ესკიზი (შესავალი); დეკორაციის ესკიზი/სივრცითი თხრობა; დეკორაციის ესკიზი/დრამატურგიული იდეების ვიზუალიზაცია), კინოში ხელოვანის ფუნქციის შესასრულებლად მიმართული საგნები: *კინოკადრის კომპოზიცია; ფრეიმინგის საფუძვლები; ფრეიმინგი - ფილმის მხატვრული სტრატეგია* წარმოდგენილია მხოლოდ არჩევითი კურსების სახით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, თეატრისა და კინემატოგრაფიის პროგრამები გაერთიანდა არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც ეყრდნობოდა სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს, ამიტომ კინემატოგრაფია უფრო სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი და არა მხოლოდ არჩევითი კურსების სახით.

**პროგრამა 4**
**,,თეატრის მხატვრობის სცენოგრაფიის ხელოვნება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი. 4 სემესტრი. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 38 სასწავლო კვირას. პირველი სემესტრის ხანგრძლივობა - 18 კვირა (15 - სასწავლო კვირა, 3 - სესიული) II სემესტრის ხანგრძლივობაა 20 კვირა (15 - აკადემიური კვირა, 3 - სესიური, 2 - პრაქტიკული). საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ხელოვნების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფერწერაში. ხარისხს ახლავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოდელით გაცემული დიპლომი. სამაგისტრო პროგრამა ლოგიკურად აგრძელებს პროფესიონალი ხელოვანის ფორმირებას ბაკალავრიატის საფეხურიდან. ის საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ სიღრმისეული, ორიენტირებული ცოდნა და უნარები

ფერწერის სფეროში, ისევე როგორც მის მომიჯნავე სფეროებში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტისგან შედგება და შესაბამისი საგნების რაოდენობა ლოგიკურად არის გადანაწილებული. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი თეატრის მხატვარი, რომელიც ფლობს ყოვლისმომცველ და სისტემატურ ცოდნას სცენოგრაფიის ისტორიის, მისი სპეციფიკისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების დარგში. პროგრამა ეძღვნება მომავალი თეატრის მხატვრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და სტუდენტების აღჭურვას ამ სფეროში წარმატებული კარიერისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

სამაგისტრო პროგრამისთვის თეორიული კრედიტების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია მხოლოდ ერთი 3 კრედიტიანი ძალიან სპეციფიკური კურსით (მე-20 საუკუნის ხელოვნების ფილოსოფია და სოციოლოგია გერმანიაში - მიმოხილვა), რომელიც დაკავშირებულია ფილოსოფიასა და ხელოვნების ისტორიასთან.

პროგრამა 5 (გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე˜. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი. 8 სემესტრი. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 38 სასწავლო კვირას. პირველი სემესტრის ხანგრძლივობა - 18 კვირა (15 - სასწავლო კვირა, 3 - სესია) მეორე სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა (15 - აკადემიური კვირა, 3 - სესიური, 2 - პრაქტიკა). საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ფერწერის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეძლევა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მოდელის დიპლომი.

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზანი, როგორც წარმოდგენილია, არის სტუდენტებისათვის ყოვლისმომცველი სწავლება, როგორც ტრადიციული გრაფიკული მეთოდებისა და ტექნიკის, ასევე ახალი მედიისა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში . პროგრამის მიზანია განავითაროს ფართო კომპეტენციები გრაფიკული ნამუშევრების შექმნისას, მათ შორის დაზგური გრაფიკის, წიგნის ილუსტრაციის, პლაკატების და მხატვრული ანიმაციის შესრულებისას.

ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის საკითხი პრობლემაა და სტუდენტებს სურთ დასავლეთ ევროპის უფრო მეტ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა.

პროგრამა 6 (გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

გრაფიკის ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო მოიცავს 120 კრედიტს.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი. 4 სემესტრი. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 38 სასწავლო კვირას. პირველი სემესტრის ხანგრძლივობა - 18 კვირა (15 - სასწავლო კვირა, 3 - სესიული) II სემესტრის ხანგრძლივობაა 20 კვირა (15 - აკადემიური კვირა, 3 - სესიური, 2 - პრაქტიკული). საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ. ხარისხს ახლავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოდელით გაცემული დიპლომი.

გრაფიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანი, არის სტუდენტის უნარი გააძლიეროს ტრადიციული გრაფიკული ტექნიკები ალტერნატიული მასალებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით, მხატვრული ამოცანების შესრულებისას. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია საბოლოო შემოქმედებითი კომპოზიციების შესაქმნელად მათ მიერ არჩეულ მედიაში, სპეციალობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ილუსტრაცია, სარეკლამო გრაფიკა, დაზგური გრაფიკა და ნახატი. პროგრამის კურსდამთავრებულები განავითარებენ პროფესიულ უნარებს, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე ხელოვნების ინდუსტრიის განვითარებად მოთხოვნებს გლობალიზაციის ტენდენციების კონტექსტში. წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა ასევე საშუალებას აძლევს ბაკალავრის ხარისხის მფლობელებს, კიდევ უფრო გაიღრმაონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება სასურველ სპეციალობაში სამაგისტრო დონეზე, წინა გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე.

გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ წვდომა ძვირადღირებულ მასალაზე, რომლის გამოყენებაც მრავალჯერ შეიძლება. ასევე აღინიშნა, რომ მათ არ აქვთ სრული ცოდნა უსაფრთხოების წესების შესახებ, თუ როგორ დაიცვან თავი მჟავებისა და კონკრეტული მასალებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დოკუმენტები (კურიკულუმები და ინტერვიუები მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადმინისტრატორებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)

რჩევები:

- სასურველია მეტი კრედიტის მინიჭება ხელოვნების ისტორიისთვის და ნაკლები დეტალური კომპონენტებისთვის, მაგ. სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიციისთვის (თითოეული 5 ECTS).
- უნდა მოეწყოს მეტი გამოფენა.

პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი)

რჩევები:

- ნაკლები კრედიტები მიანიჭეთ სპეციალიზებულ საგნებს, როგორებიცაა მაგალითად ფერების ლოგიკური დაჯგუფება/ცივი და თბილი ფერები ფერი/პოლარულობა - კონტრასტი
- სასურველია დაფიქრდეთ და კინოსთან დაკავშირებული ზოგიერთი არჩევითი საგანი სავალდებულოდ გადაიტანოთ. კინემატოგრაფია უფრო სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამაში და არა მხოლოდ არჩევითი კურსების სახით.

პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა)

რჩევები:

- მიზანშეწონილია განახორციელოთ უფრო საფუძვლიანი და ზოგადი თეორიული კურსები, მაგ., ხელოვნების ისტორია, წერა, ფილოსოფია, რათა დაეხმაროთ სტუდენტებს თავიანთი იდეების სიტყვიერად და წერილობით გამოხატვაში და ასევე დაეხმაროთ მათ თავიანთი ნაშრომებისა და კონცეფციების ზუსტად პოზიციონირებაში, თეატრის ისტორიულ და თანამედროვე პრაქტიკაში.

- სასურველია გაიზარდოს ინგლისური ენის სწავლების დრო. ამავდროულად, მეტი ყურადღება გაამახვილეთ ფერწერისთვის საჭირო ლექსიკის გამდიდრებაზე;

– სასურველია გაიზარდოს შემდეგი სასწავლო კურსების სწავლების დრო – „ფერწერის ტექნოლოგია“, „ანატომია“;

- სასურველია, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინოთ სტუდენტების მოთხოვნები შემდეგი სასწავლო კურსის დამატებასთან დაკავშირებით: კულტურის მენეჯმენტი;

- იმის გათვალისწინებით, რომ კურსი მოიცავს პრაქტიკის ასეთ მრავალფეროვან სფეროს, კარგი იქნება, რომ სტუდენტებს შესთავაზოთ მეტი არჩევანის თავისუფლება, მაგალითად, არჩევითი კურსები ან ალტერნატიული კურსები თვითშერჩეული სპეციალიზაციისთვის.

- ძველ პროგრამასთან შედარებით გაიზარდა უცხო ენების კურსებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა. ეს კარგი შესაძლებლობაა რომ მოიწვიოთ დარგის შესაბამისი ლექტორები, რომლებიც უცხო ენაზე ჩაატარებენ ლექციებს.

პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია ტიპოგრაფიის სპეციალური კურსის შეთავაზება მაგალითად კომპოზიციასთან ერთად.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკული ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების, კომპეტენციების რუკების, სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო კურსების სტრუქტურა, წინაპირობები და სწავლების მეთოდები ეხმარება სტუდენტებს განავითარონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, უნარები და კომპეტენციები. ექვსივე პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები განსაზღვრავს კრედიტების განაწილებას, სილაბუსებში ადექვატურად არის განაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები. სილაბუსებში სათანადოდ არის განსაზღვრული შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგის მიღწევას.

ექვსივე პროგრამის სილაბუსში წარმოდგენილია სასწავლო ლიტერატურის მცირე ჩამონათვალი, ძირითადად უცხო ენაზე. იგი საჭიროებს განახლებას და შევსებას საჭირო ლიტერატურით. ქართულ ენაზე არსებული პროფესიული ლიტერატურის მცირე ჩამონათვალი ხელს უშლის ისეთი სტუდენტის განვითარებას, რომელმაც არ იცის უცხო ენა. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სტუდენტების თხოვნით გაიზარდა უცხო ენის შესწავლის საათების რაოდენობა, მაგრამ მაინც სასურველი იქნებოდა, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს მოემზადებინათ შესაბამისი რიდერი ქართულ ენაზე, მითითებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით.

სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა საჭიროებს კრიტიკული თვალით გადახედვას. ხშირად მხოლოდ წიგნის სათაურია მითითებული, ავტორის, გამომცემლისა და თარიღის გარეშე.
სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თუმცა, სამკითხველო დარბაზის რეკონსტრუქციის გამო, სტუდენტებს არ შეუძლიათ მისი გამოყენება, შეუძლიათ მხოლოდ წიგნის გატანა, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე ეგზემპლარად. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება და მოსწავლეები სამკითხველო დარბაზით სარგებლობას შეძლებენ.

პროგრამა 1 (ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ფერწერის საბაკალავრო პროგრამაში გაერთიანებულია 63 სასწავლო დისციპლინა/საგანი. საგნების უმრავლესობა, 39 საგანი, სპეციალობის სავალდებულო საგნებს ეთმობა. პროგრამის საბაზისო ბლოკში შემავალი 6 საგანი, რომელთა კრედიტის შესაბამისობა სულ იქნება 18 ECTS, ემსახურება ფერწერის სპეციალობისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას. საბაზისო ბლოკის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და თითოეული კურსის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზმნებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე.

პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ასახულია პროგრამის კომპეტენციების რუკაზე.

სილაბუსებში სათანადოდ არის განსაზღვრული შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგის მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ ძალიან კარგია, რომ ფერწერის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები შეისწავლიან საგნებს „ვექტორული გრაფიკა“ და „რასტრული გრაფიკა“, რაც მათ საშუალებას მისცემს შექმნან ნამუშევარი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. თუმცა, კარგი იქნება, ცოდნის ეს მიმართულებაც აისახოს პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

პროგრამა 2 (ფერწერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა )

ფერწერის სამაგისტრო პროგრამაში გაერთიანებულია 25 სასწავლო დისციპლინა/საგანი. რომელთა უმრავლესობა, 19 დისციპლინა, უზრუნველყოფს ფერწერის სპეციალობისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის საბაზისო ბლოკში შემავალი 6 საგანი, რომელთა კრედიტის

შესაბამისობა სულ იქნება 28 ECTS, ემსახურება ფერწერის სპეციალობისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას. საბაზისო ბლოკის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და თითოეული კურსის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ბლოკში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი საგულდაგულოდ არის შემუშავებული, რათა შეესაბამებოდეს კონკრეტულ სწავლის შედეგებს. ამ კურსებში გაშუქებული შინაარსი უშუალოდ შეესაბამება დასახულ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის აღჭურვას იმ აუცილებელი ცოდნათა და უნარებით, რომლებიც საჭიროა ფერწერაში სამაგისტრო პროგრამისთვის. თითოეული კურსის შედეგების პროგრამის საერთო მიზნებთან შესაბამისობით, სტუდენტებს მიეწოდება ერთიანი და ყოვლისმომცველი სასწავლო გამოცდილება.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება ფერწერის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს არჩევით კურსებსა და მთლიანად პროგრამას შორის თანმიმდევრულობასა და ინტეგრაციას.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსით მოწოდებული სასწავლო მასალა დიდწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)**

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაში გაერთიანებულია 79 სასწავლო დისციპლინა/საგანი. საგნების უმრავლესობა, 43 საგანი, სპეციალობის სავალდებულო საგნებს ეთმობა. პროგრამის საბაზისო ბლოკში შემავალი 6 საგანი, რომელთა კრედიტის შესაბამისობა სულ იქნება 18 ECTS, ემსახურება ვიზუალური ხელოვნების სპეციალობისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას. საბაზისო ბლოკის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და თითოეული კურსის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსი მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსზე, მის ავტორებზე, განმახორციელებელ პირებზე, სასწავლო კურსის მიზნებზე, კრედიტების რაოდენობასა და საათების განაწილებაზე, დაშვების წინაპირობებზე, სწავლა-სწავლების მეთოდებსა და შესაბამის აქტივობებზე, ცოდნის შეფასების ფორმებზე.

**პროგრამა 4**
**,,თეატრის მხატვრობის სცენოგრაფიის ხელოვნება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო პროგრამაში გაერთიანებულია დისციპლინები/საგნები რომელთა უმრავლესობა, 21 დისციპლინა, უზრუნველყოფს თეატრის მხატვრისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის საბაზისო ბლოკში შემავალი 4 საგანი, რომელთა კრედიტის შესაბამისობა სულ იქნება 18 ECTS, ემსახურება თეატრის მხატვრის სპეციალობისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას. საბაზისო ბლოკის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და თითოეული კურსის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

თეატრის მხატვრობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო ბლოკები და მათში შემავალი საგნები ასწავლის მაგისტრანტს თეატრის მხატვრის სპეციალობის ძირითად და სიღრმისეულ პრინციპებს, თანამედროვე თეორიებს და ზრუნავს სტუდენტის პროფესიული ეთიკის განვითარებაზე და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე.

**პროგრამა 5 (გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)**

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გაერთიანებულია 47 სასწავლო დისციპლინა/საგანი. საგნების უმრავლესობა, 41 საგანი, სპეციალობის სავალდებულო საგნებს ეთმობა. პროგრამის საბაზისო ბლოკში შემავალი 6 საგანი, რომელთა კრედიტის შესაბამისობა სულ იქნება 18 ECTS, ემსახურება გრაფიკის ხელოვნების სპეციალობისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას. საბაზისო ბლოკის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და თითოეული კურსის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

საბაკალავრო საფეხური შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების ბლოკისგან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, ინტერესებიდან გამომდინარე, აირჩიოს და აიღოს მისთვის საინტერესო საგნები.

**პროგრამა 6 (გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)**

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სულ 31 სასწავლო დისციპლინის/საგნისგან შედგება. მათ შორის, 16 დისციპლინა ორიენტირებულია გრაფიკოსის სპეციალობისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრამის საბაზისო ბლოკი მოიცავს 4 საგანს 12 ECTS-ის ჯამური კრედიტის შესაბამისობით, რომელიც მიზნად ისახავს გრაფიკოსის სპეციალობისთვის აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების შეძენას. საბაზისო ბლოკში თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება შესაბამისი კურსის სწავლის შედეგებს და შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო ბლოკები და საგნები მიზნად ისახავს ასწავლოს სტუდენტებს გრაფიკოსის სპეციალობის ფუნდამენტური და მოწინავე პრინციპები, თანამედროვე თეორიები და ხელი შეუწყოს პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების შეტანისას გათვალისწინებული იყო დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები/მოთხოვნილებები. მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩამოყალიბებას სრულფასოვან მხატვრად, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს რთული კომპოზიციების შექმნას და მასალაზე მუშაობას.

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამები:
- სამაგისტრო პროგრამები:
- პროგრამის სილაბუსები
- თსსა ვებგვერდი http://www.art.edu.ge
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- **რეკომენდებულია ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1– „ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები:** მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე აისახოს საგნების „ვექტორული გრაფიკა“ და „რასტრული გრაფიკა“ შესაძლებლობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს შექმნას ნამუშევარი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 („ფერწერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 („ფერწერის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( „ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 („ფერწერის" საბაკალავრო ს აგანმანათლებლო პროგრამა ); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 („ფერწერის" სამაგისტრო სა განმანათლებლო პროგრამა); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( „ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლე ბლო პროგრამა); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის (სცე ნოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებ ლო პროგრამა. | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

თსსა–მ განსაზღვრა კლასტერში შემავალი ორივე დონის პროგრამებზე მიღების შესაბამისი წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ პირი ჩაერთოს პროგრამაში, რათა მან შეძლოს პროგრამის დაძლევა და შესაბამისი ცოდნისა და უნარების შეძენა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასევე ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და განათლების სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნებს.

სამხატვრო აკადემიას აქვს პროგრამის შესაბამისი მისაღები მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტების ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. კლასტერში წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საუნივერსიტეტო დებულებებს (ექვსივე პროგრამაში).

საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში დაშვების წინაპირობებია ერთიანი ეროვნული გამოცდები და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა, თავისუფალი კონპოზიციის შესრულება და პორტფელიოს წარდგენა. ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში მიღების წინაპირობებია ნუდის დახატვა (ხანგრძლივობა 5 საათი), ინგლისური ენის ტესტი და პორტფოლიოს წარდგენა.

ინფორმაცია კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამებზე მიღების წესის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.art.edu.ge.

ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამებზე მიღების შესახებ, თუმცა არ შეიცავს სპეციალობის გამოცდის სრულ აღწერას.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კლასტერში წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების მიღება მიმდინარეობს უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოქმედი მეთოდოლოგიითა და წესით. იგი მთლიანად ითვალისწინებს უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

პროგრამებზე მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდისა და ხატვის შიდა შემოქმედებითი ტურის ჩაბარების შემთხვევაში.

აკადემიაში ასევე განსაზღვრულია პირობები, ვინ შეიძლება ჩაირიცხოს ეროვნული გამოცდის გარეშე. კერძოდ:

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ექვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში;
2. საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და ისწავლეს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში;
3. პირები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების მობილურობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

<u>აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) დონე 6</u>

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს თსსა შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები: ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აბიტურიენტები ქართულ ენას და უცხო ენას აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

შემოქმედებითი ტური ორი კომპონენტისგან შედგება, კომისიის წევრები ჯერ ეცნობიან განმცხადებლის პორტფოლიოს, შემდეგ კი ტარდება ხატვის გამოცდა. როგორც ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, წელს გამოცდის საგანში გარკვეული ცვლილება მოხდა და თუ ადრე აბიტურიენტებს კონკრეტული დავალების შესრულება უწევდათ, ახლა შეუძლიათ თავისუფალ თემაზე ნამუშევარი შექმნან, რაც მეტ თავისუფლებას და გამბედაობას ანიჭებს და შემფასებლებს შესაძლებლობას აძლევს უკეთ გაიცნონ აპლიკანტი.

შემოქმედებითი ტურის შესახებ ინფორმაცია აბიტურიენტისთვის ხელმისაწვდომია ტურამდე მინიმუმ ორი თვით ადრე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ფერწერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; დონე 7

განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, გავლილი თსსა–ში. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მისაღები გამოცდა ხატვაში და უცხო ენაში (B2 დონე).

ხატვის გამოცდაზე აბიტურიენტები ხატავენ ფეხზე მდგარ შიშველ მოდელს. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

სამაგისტრო გამოცდას სიახლე დაემატა, კერძოდ, საჭირო გახდა პორტფელიოს წარდგენა.

<u>აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) დონე 6</u>

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს თსსა შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები: ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აბიტურიენტები ქართულ ენას და უცხო ენას აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

შემოქმედებითი ტური ორი კომპონენტისგან შედგება, კომისიის წევრები ჯერ ეცნობიან განმცხადებლის პორტფოლიოს, შემდეგ კი ტარდება ხატვის გამოცდა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის/სცენოგრაფიის ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა. დონე 7

განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, გავლილი თსსა–ში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მისაღები გამოცდა ხატვაში და უცხო ენაში (B2 დონე). ხატვის გამოცდაზე აბიტურიენტები ხატავენ ფეხზე მდგარ შიშველ მოდელს. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში. სამაგისტრო გამოცდას სიახლე დაემატა, კერძოდ, საჭირო გახდა პორტფელიოს წარდგენა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) დონე 6**

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს თსსა შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები: ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აბიტურიენტები ქართულ ენას და უცხო ენას აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

შემოქმედებითი ტური ორი კომპონენტისგან შედგება, კომისიის წევრები ჯერ ეცნობიან განმცხადებლის პორტფოლიოს, შემდეგ კი ტარდება ხატვის გამოცდა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება – მაგისტრატურა) 7**

განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, გავლილი თსსა–ში. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მისაღები გამოცდა ხატვაში და უცხო ენაში (B2 დონე). ნახატის გამოცდაზე აბიტურიენტები ხატავენ ფეხზე მდგარ შიშველ მოდელს. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში. სამაგისტრო გამოცდას სიახლე დაემატა, კერძოდ, საჭირო გახდა პორტფელიოს წარდგენა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- **საბაკალავრო პროგრამა**
- **მაგისტრატურა**
- **BA მისაღები გამოცდის პროცედურა**
- **BA მისაღები გამოცდის საკითხები**
- **BA მისაღები გამოცდის კრიტერიუმები**
- **MA მისაღები გამოცდის პროცედურა**
- **MA მისაღები გამოცდის საკითხები**
- **MA მისაღები გამოცდის კრიტერიუმები**
- **თსსა ვებგვერდი http://www.art.edu.ge**
- **ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

მაგისტრატურაში  სპეციალობის მისაღები გამოცდის შინაარსი მითითებული უნდა იყოს აკადემიის ვებ გვერდზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| 2.1. პროგრამაზე  დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1– ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2– ფერწერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა) დონე 6 | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4– თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ( გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა) დონე 6 | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 ( გრაფიკის ხელოვნება,სამაგისტრო პროგრამა) დონე 7 | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო  და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო
და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარებას, ასევე შემოქმედებით უნარებს და მათ ჩართვას სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ შემოქმედებით პროექტებში. იმის გამო, რომ ყველა პროგრამას აქვს მხატვრული პროფილი, სტუდენტების უნარების განვითარება შესამჩნევია პროგრამების სასწავლო გეგმაში. კვლევით-მხატვრულ კომპონენტებზე მუშაობის პროცესში

სტუდენტებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი კვლევითი და მხატვრული გამოცდილების მქონე კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
შემოქმედებით-პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის პროგრამები მოიცავს სპეციალურ სამუშაო ადგილებს პრაქტიკულ-შემოქმედებითი სამუშაოსთვის, სამუშაო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და განათებით. უსდ ხელს უწყობს სტუდენტების უნარების განვითარებას პროგრამის სასწავლო გეგმის მიღმა. ფაკულტეტისა და აკადემიის ადმინისტრაცია მხარს უჭერს სტუდენტების ჩართვას სასწავლო გეგმის მიღმა სხვადასხვა აქტივობებში: გამოფენები, ვორქშოპები, კონკურსები და შემოქმედებითი პროექტები.
სამხატვრო აკადემია ხშირად აცხადებს სხვადასხვა პროექტებს სტუდენტებისთვის, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს განავითარონ ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარები. პროცესს ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კულტურული ქსელები როგორც საზღვარგარეთ და ისე ქვეყანის შიგნით. სტუდენტების შემოქმედებით-პრაქტიკული უნარების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ პარტნიორი ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსებით და ჩაერთონ სხვადასხვა ერთობლივ შემოქმედებით საქმიანობაში მუზეუმებთან, ხელოვნების გალერეებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახელოვნებო ცენტრებთან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.
ინტერვიუებმა სტუდენტებთან, მეცნიერებთან, მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან აჩვენა სტუდენტების აქტიური ჩართულობა სხვა დაწესებულებებთან, ისევე როგორც სტუდენტების კმაყოფილების მაღალი ხარისხი სამხატვრო აკადემიის მხარდაჭერით. ამიტომ, სტუდენტებმა ინტერვიუს დროს მათ გამოხატეს დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან კონტაქტის გაგრძელების სურვილი.

ერთ-ერთი კარგი პრაქტიკა არის სასწავლო გეგმის ფარგლებში საველე სამუშაოების გამოყენება (Plenair painting). სტუდენტების შემოქმედებითი უნარების განვითარების ეფექტურობას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ ლექტორები ასევე არიან დამსაქმებლების წარმომადგენლები (განსაკუთრებით ეს პრაქტიკა შეიმჩნევა პროგრამა 3 ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე და პროგრამა 4 – თეატრის მხატვრობის/სცენოგრაფიის ხელოვნების სამაგისტრო პროგრამაზე).

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმდა მნიშვნელოვანი მემორანდუმი, რომელიც ქმნის საინტერესო თანამშრომლობის პერსპექტივას, კერძოდ, აკადემიის სტუდენტების ჩართვას სპექტაკლის მხატვრულ დიზაინში ან გადაღებებში, რაც მათ მუშაობის გამოცდილებას მისცემს გუნდში პრაქტიკული უნარების განვითარებასთან ერთად. ასევე იგეგმება სახელმწიფო კონსერვატორიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფერწერა, ბაკალავრიატი)**

ექსპოზიციის პრაქტიკა, როგორც ჩანს, საკმაოდ მარგინალურია კრედიტების თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ მის მნიშვნელობას ჰოლისტიკური უნარების გამოყენებაში და კურსდამთავრებულ ხელოვანთა მომავალ პრაქტიკაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)

ფერწერის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრიატის სწავლის დროს მიღებული უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას. თუმცა, როგორც ჩანს, აქცენტი კეთდება პრაქტიკულ დახვეწილობაზე და ნაკლებად შემდგომ თეორიულ კვლევებზე. ეს ეწინააღმდეგება კურსების ლოგიკური თანმიმდევრობის მიზანს, რომლის მიხედვითაც სტუდენტების შემდეგი ნაბიჯი შეიძლება იყოს სადოქტორო სწავლება, რომელიც მოითხოვს აკადემიური წერის უნარებს. უნდა განვითარდეს მაგისტრატურის სტუდენტების თეორიული უნარები. სახვითი ხელოვნების მაგისტრატურის საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად შესაბამისობის მიღწევის მიზნით, კატეგორიული რჩევაა, პრაქტიკული ნაწილის შესახებ ესეს დაწერა აკადემიური სტანდარტების მიხედვით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება – ბაკალავრიატი)

დიგიტალიზაციის ტენდენციებიდან გამომდინარე, რომლის გაძლიერებული დანერგვაც სურს პროგრამას, ყოველთვის ჩნდება კითხვა, რომელი კონკრეტული პროგრამა და უნარების დონეა საჭირო ერთ კონკრეტულ პროგრამაში. ეს ასევე შეიძლევა ითქვას, ციფრული უნარების მიმართებით ანალოგურ უნარებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის პროექტების, გამოფენებისა და სემინარების მასალები.
- თსსა ვებგვერდი –- art.edu.ge
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრებები დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია კონტაქტის გაფართოება დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.
- უნდა იყოს უფრო მეტი პრაქტიკული პროექტები, მაგალითად, პოსტერების კონკურსები და გამოფენები აკადემიის გარეთ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1 ,ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა);**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეიძლება მეტი ყურადღება გამახვილდეს პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სხვადასხვა უნარების გამოყენების შესაძლებლობებზე.

**პროგრამა 2 ( ფერწერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა);**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

სახვითი ხელოვნების მაგისტრატურის საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მკაცრად მიზანშეწონილია პრაქტიკული ნაწილის შესახებ ესეს დაწერა აკადემიური სტანდარტების დაცვით.

**პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

- **რჩევები:** ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით, სასწავლო მიზნებისა და სწავლის შედეგების შესასრულებლად, მიზანშეწონილია, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის უფრო ძლიერი დანერგვა და კომპიუტერული პროგრამების უკეთესი მახასიათებლები, მაგალითად ანიმაციისთვის.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1– ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პ როგრამა; | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვ ნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია სახელოვნებო განათლების მხრივ უძველესი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. ბუნებრივია, რომ მისი არსებობის 100 წლის მანძილზე დაგროვდა საკმაოდ დიდი პედაგოგიური გამოცდილება, რაც გამოიხატება სწავლების ტრადიციულ და გამოცდილ მეთოდებში. მაგრამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საუბრისას დავრწმუნდით, რომ დაწესებულება ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო ტენდენციებს და მოახდინოს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების სინთეზი, რაც აისახება კლასტერში გაერთიანებული სასწავლო პროგრამების სწავლებისა და სწავლების მეთოდები.
თსსა-ში არსებობს სასწავლო პროცესის ორგანიზების შემდეგი ფორმები: სტუდიური სწავლება, სალექციო, პრაქტიკული.
სტუდიური სწავლება სახვითი ხელოვნების სწავლების ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული ფორმაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მხრივ, სილაბუსებში სტუდიური სწავლება წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდის განხორციელებით: გამოკითხვა, სქემატური გამოსახულება, ესკიზები, ეტიუდები, ნახატები, ექსპოზიცია, პრეზენტაცია, ჯგუფური დისკუსია, დებატები, მსჯელობა და ა.შ.
პრაქტიკული განათლება მოიცავს დამგეგმავში მუშაობას, ანატომიურ ატლასებთან მუშაობას (პლასტიკური ანატომია), ლაბორატორიულ სამუშაოებს (ფერწერის ტექნიკა და ტექნოლოგია) და ა.შ. მეორე მხრივ, თეორიულ კურსებში ასევე გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა:

1. სიტყვიერი ან ზეპირი მეთოდები;

2. წიგნებზე მუშაობა,
3. განხილვა/ დებატები
4. შემთხვევის ანალიზი,
5. გონებრივი იერიში,
6. ევრისტიკული მეთოდი.
7. დემონსტრირება,
8. განმარტებითი მეთოდი.
მაგრამ, გარდა ზემოთ ნახსენები მეთოდებისა და სილაბუსებში, თსსა აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად ცდილობს ბევრად უკეთესი შედეგის მიღებას სტუდენტებთან აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით კლასგარეშე აქტივობებით.
სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ხელოვნების გამოფენებსა და ფესტივალებში, რისთვისაც აქტიურად იყენებენ თავად აკადემიის სივრცეს.
ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრის სტუდენტებს, მასწავლებლის დახმარებით, აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ ჩაერთონ ფილმის გადაღების პროცესში და განავითარონ პრაქტიკული უნარები.
სამაგისტრო პროგრამა იზიარებს საუკეთესო პრაქტიკას საზღვარგარეთიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგისტრანტმა სამუშაოს გარდა გარკვეული წერილობითი კონცეფცია უნდა წარმოადგინოს თავისი ნამუშევრის შესახებ.
კარგი იქნება, თუ სწავლების ყველა ეს ალტერნატიული მეთოდი, აქტივობა თუ პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული საგნების სილაბუსებშიც აისახება.
იგეგმება მხატვრული რეზიდენციების მოწყობის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
**ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა:**
**სამაგისტრო პროგრამა**
**პროგრამის სილაბუსები**
**აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები;**
**გასაუბრება სტუდენტებთან;**
**გასაუბრებები დამსაქმებლებთან**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1– ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; | x | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2– ფერწერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა) დონე 6 | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4– თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა) დონე 6 | x | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 ( გარფიკა/ გრაფიკის ხელოვნება,სამაგისტრო პროგრამა) დონე 7 | x | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების მიხედვით ტარდება,; იგი არის გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობის შესაბამისი. პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას სტუდენტის შესრულებული სამუშაო თითოეულ დისციპლინაში ფასდება ევროპის ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით (ECTS) და შეფასების სისტემით, რომელიც დამტკიცებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის“ მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით.

აკადემიაში მოქმედებს სტუდენტების შეფასების 100-ქულიანი სისტემა. მაქსიმალური დადებითი ქულა არის 100, მინიმალური კი 51 ქულა. გარდა ამისა, დადებით შეფასებად ითვლება შემდეგი: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60). უარყოფით შეფასებად ითვლება: FX (41-50), F (40 ან ნაკლები).

შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის მოცემული კონკრეტული საგნის სილაბუსში. სასწავლო კურსების წარმატებით გავლისთვის საჭიროა სტუდენტის აქტიური ჩართულობა პროცესში. თსსა–ში შეფასების სქემა მარტივია და შედგება რამდენიმე კომპონენტისგან, კერძოდ: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება, შუალედური გამოცდის შეფასება, დასკვნითი გამოცდის შეფასება.

როგორც დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, აკადემია ყოველდღიურ სალექციო აქტივობებში ქულებს არ წერს. კითხვაზე - ახდენს თუ არა ეს მიდგომა უარყოფით გავლენას სტუდენტთა მოტივაციაზე - პასუხი იყო არა. მეორე მხრივ, სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებლის შესანარჩუნებლად, თსსა-მ შეიმუშავა სასწავლო პროცესის შემდეგი მარეგულირებელი წესები: სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ კონკრეტულ საგანში გამოტოვებული საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 50% ან მეტი; სწავლის თითოეულ საფეხურზე სტუდენტს ეძლევა ფინალური გამოცდის ხელახალი ჩაბარების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საერთო ქულა არანაკლებ 41, ფინალური გამოცდის ჩათვლით; შუალედური შეფასების თითოეულ

ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს ამ შეფასებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 30%-ს, ხოლო საბოლოო შეფასებაში (გამოცდაში) მაქსიმალური ქულის 50%-ს; თსსს სტუდენტის ნაშრომში (შუალედური ან დასკვნითი გამოცდა/დავალება) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში იგი არ ფასდება; სტუდენტს ეძლევა შუალედური ან დასკვნითი გამოცდის გადაბარების (დამატებითი გამოცდის ჩაბარების) საშუალება.

შეფასების ფორმები და კომპონენტები შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს. შეფასების კომპონენტები და მათი სპეციფიკური წილი ასახულია თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ასევე, ყველა დონის პროგრამის სილაბუსებში აღწერილია შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ნებისმიერი კურსისთვის. ყველა წარმოდგენილ პროგრამას ერთვის ინფორმაცია საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

რაც შეეხება სადიპლომო ნაშრომების შეფასების სისტემას, ის შემდეგი ტიპისაა: ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, რომელშიც გათვალისწიბებულია გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები: საბაკალავრო ნაშრომის საკითხის შერჩევა, კონცეფცია/ არგუმენტაცია - 20 ქულა; შერჩეული მასალა და შესრულების ტექნიკა (ესკიზები, ეტიუდები) – 20; თემის იდეისა და მხატვრული მხარის მთლიანობა - 20; სადიპლომო ნაშრომის პრეზენტაცია - 40 ქულა.

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტების დამოკიდებულება შეფასების არსებული სისტემისა და კომპონენტების მიმართ დადებითია. აღნიშნული სქემა მათთვის გასაგები და მისაღებია და ამ მიმართულებით არაფრის შეცვლას არ ისურვებდნენ.

რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, აკადემია ამ მექანიზმით უზრუნველყოფს სტუდენტებს. თუ ისინი არ დარჩებიან კმაყოფილი გამოცდების შედეგებით, შეუძლიათ გაასაჩივრონ ქულა. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. თავის მხრივ, ლექტორებმა რამდენიმე შემთხვევა გაიხსენეს, როდესაც სტუდენტმა აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენა და შედეგი შეიცვალა.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიამ გააფორმა ხელშეკრულება ასოციაცია „მეცნიერებისთვის“. აკადემია უგზავნის სტუდენტების ნაშრომებს და შემოწმების შემდეგ უკან უბრუნდებათ. საუბარია წერილობით დავალებებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
**• შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;**
**• საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;**
**• სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;**
**• შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;**
**• პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი;**
**• სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები;**
**ვებგვერდი:**
**- გასაუბრებების შედეგები.**

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შეესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა); | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | V | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვისუზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

### 3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერის შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების ამაღლებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისაგან, კერძოდ: დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კოორდინატორების, IT დეპარტამენტის, ბიბლიოთეკის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისაგან.

სწავლების შედეგებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით აკადემიური პერსონალის განრიგი მოიცავს საკონსულტაციო საათებს, რომლის შესახებ ინფორმაცია წერია თავად სილაბუსში და სტუდენტს აქვს მასზე წვდომა. ორივე საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებს.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. როგორც აღინიშნა, სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური გვერდი, რომელზეც სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია მხატვრული პროექტების, კონკურსების, ვორქშოპების შესახებ.

როგორც ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, აკადემია სტუდენტებს მუდმივად აწვდის საჭირო ინფორმაციას. ინფორმაციის გავრცელების ძირითადი არხებია აკადემიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი და ვებგვერდი, „ემისის“ სასწავლო ბაზა, გარდა ამისა, სტუდენტები სარგებლობენ აკადემიის მიერ შექმნილ საუნივერსიტეტო ელფოსტით, სადაც ასევე იგზავნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო და შემოქმედებითი აქტივობებში.

რაც შეეხება სტუდენტურ მომსახურებას, აღსანიშნავია მათი უკუკავშირის ფორმები, რომლებიც, პირველ რიგში, მოიცავს გამოკითხვებს. სტუდენტების გამოკითხვა ტარდება ყოველ სემესტრში. გამოკითხვა არის პერიოდული, ანონიმური და სავალდებულო. კითხვარი შედგენილია იმის დასადგენად, თუ როგორ ტარდებოდა ლექციები ბოლო სემესტრში, რამდენად კმაყოფილი იყვნენ პროფესორის მუშაობით. ამ მიმართულებით სტუდენტი აფიქსირებს თავის პოზიციას, რის შემდეგაც გამოკითხვის შედეგები ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ეს უკანასკნელი შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ჩართავს აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს. გამოკითხვის შედეგების დამუშავების შემდეგ, საჭიროებისამებრ, სასწავლო კურსის ან პროფესორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მუშავდება რჩევები ან რეკომენდაციები. როგორც სტუდენტებმა და

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების გამო მიცემული რეკომენდაციები დიდწილად არის გათვალისწინებული.

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტების გარდა მათ აქვთ კურსდამთავრებულთა კითხვარიც, რომელსაც ყოველწლიურად უგზავნიან მათ. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ კითხვარს ხშირად ავსებენ.

აკადემიას აქვს კარიერის განვითარების სერვისი, რომელიც დასაქმებასთან დაკავშირებით უწევს კონსულტაციას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა  პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხებოდა როგორც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ასევე სალექციო პროცესს და მის შინაარსს: ზევრმა სტუდეტმა გამოთქვა პრეტენზია სადიპლომო ნაშრომისთვის საჭირო მასალების ნაკლებობის გამო, და ასევე გაჟღერდა პრეტენზია სტუდენტებისათვის მასალების დროეულად მიწოდებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაგეგმილი და გამხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი ან სხვა) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში;
- ვებგვერდი:
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

მიანშეწონილია, მეტი მხარდაჭერა შესთავაზონ სტუდენტებს მატერიალური რესურსების კუთხით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები:

ფერწერა (ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია სტუდენტების ნათლად ინფორმირება არჩევითი კურსების შესახებ.

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო პროგრამები: გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, ვიზუალური ხელოვნება, ფერწერა, აგრეთვე შემდეგი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები - გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება), ფერწერა – უზრუნველყოფილნი არიან საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დასასრულებლად საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტებით; ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნით, ეძლევათ ინფორმაცია სადიპლომო ნაშრომის შესრულების და ა.შ. შესახებ.

ხელმძღვანელი ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ხელმძღვანელებით. ხელმძღვანელი შეირჩევა სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, მისი გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისად. ამ სფეროში სასურველია ნაშრომის ხელმძღვანელის პრაქტიკული გამოცდილება, ვინაიდან კურსდამთავრებულებს მოუწევთ პრაქტიკული ნამუშევრის დაცვა. რაც შეეხება ნარატიულ/საწერ ნაშრომებს, ეს შეიძლება იყოს გვერდი ან გვერდნახევარი. მის შინაარსს აქვს აღწერითი ფუნქცია. მაგისტრანტი წერილობით მიუთითებს რა მასალები გამოიყენა ნამუშევარში, ასევე რა შინაარსი და იდეებია მასში შეტანილი.

როგორც არაერთხელ აღინიშნა ინტერვიუს დროს, მაგისტრანტებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ სადისერტაციო თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი. მეორეს მხრივ, ხელმძღვანელები გამოხატავენ მზადყოფნას გარკვეული ლიმიტის ფარგლებში იყვნენ ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.

ფაკულტეტი მაგისტრატურას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალით, მოწვეული პროფესორებით, და მაგისტრის ხარისხის მქონე მოწვეული მასწავლებლებით. თუ ფაკულტეტზე არ არის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის მიერ არჩეულ სფეროში, მაშინ ფაკულტეტი მას იწვევს გარედან. ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნაში, უტარებს კონსულტაციებს. დისერტაციის დაცვისას იგი წარუდგენს ნაშრომს (წერილობით და სიტყვიერად), აცნობებს საბჭოს სამუშაო პროცესს და თავად ნაშრომს.

სადიპლომო ნაშრომის თემის შერჩევა და დამტკიცება ორ ეტაპად ხდება: სტუდენტი ათანხმებს სადიპლომო ნაშრომის თემას (მათ შორის მასალას, ტექნიკას, სამუშაოების რაოდენობას) ხელმძღვანელთან, რის შემდეგაც ხელმძღვანელი წარუდგენს შერჩეულ თემას ფაკულტეტის საბჭო დასამტკიცებლად. სადიპლომო ნაშრომის თემა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო კურსის სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

დიპლომის დაცვის პროცესს ასევე ესწრებიან გალერიის და შესაბამისი დარგების წარმომადგენლები. როგორც კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კარგი იქნება, თუ გაიზრდება გარე შემფასებლების რაოდენობა, რათა უფრო კომპეტენტურმა ადამიანებმა დაინახონ და შეაფასონ მათი მუშაობა. ეს უკანასკნელი იძლევა დიდ შესაძლებლობას ხელი შეუწყოს სტუდენტების დასაქმებას, გაზარდოს მათ მიმართ ინტერესი.

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 5 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 13 |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,38 |

| | |
|---|---|
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | |

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 2 (თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 1 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 5 |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,20 |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | |

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 2 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 4 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 13 |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,31 |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა ან/და ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი;

- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები;
- მაგისტრატურის დებულება;
- მაგისტრატურის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
- ვებგვერდი:
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- დიპლომის დაცვისას სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რაოდენობა, რათა უფრო კომპეტენტურმა პირებმა ნახონ და შეაფასონ სტუდენტების მუშაობა.

- სასურველია, სადიპლომო ნაშრომის წერილობითი ნაწილი, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე, უფრო წარმომადგენლობითი გახდეს, სადაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდება შესაბამისი სამეცნიერო კვლევა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რჩევები:

პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება)

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მდგრადობა, სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელად მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდით.

პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მდგრადობა, სამაგისტრო პროექტების ხელმძღვანელად მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდით.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.3 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>(თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნებ ა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | V | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაიება მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | ☐ | V | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნების ს აბაკალავრო საგანმანათლებ ლო პროგრამა); | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>(თეატრის მხატვრობის (სცე ნოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებ ლო პროგრამა. | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | V | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | V | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება,

ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

როგორც თანდართული დოკუმენტაციის შესწავლამ და თვითშეფასების ანგარიშმა აჩვენა, კლასტერულ პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი; პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება უნივერსიტეტის კანონმდებლობასა და შინაგანაწესს, გააჩნიათ პროგრამების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევები; ეს მონაცემები დადასტურდა გასაუბრებაზე - განმახორციელებელმა პერსონალმა აჩვენა პროფესიულ-პედაგოგიური გამოცდილება, სწავლების სპეციფიკის, შეფასების მეთოდებისა და კრედიტების სისტემის ცოდნა, უნივერსიტეტში არსებული სტუდენტების შეფასების სისტემის ცოდნა.

კადრების შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, გამოცდილებითა და კომპეტენციებით, რომლებიც ასევე აღწერილია მათ რეზიუმეში და პირად საქმეებში.

თსსა–მ შეიმუშავა სემესტრული განახლებადი დატვირთვის ბადე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო კვლევას/შემოქმედებით სამუშაოს და სხვა დატვირთვას მათი ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით. დოკუმენტაციის განხილვით (სემესტრული დატვირთვა, აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი, მუდმივი და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა და ა.შ.) და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების გზით, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აკადემიური და მოწვეული კადრების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-შემოქმედებით სამუშაოებისა და მათზე დაკისრებული სხვა მოვალეობების სათანადოდ განხორციელებას. ზოგადად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას და არიან დარგის წამყვანი სპეციალისტი. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში და ასევე აქვთ შესაბამისი კომპეტენციები პროგრამების სფეროში, ასევე მკაფიო ხედვა ორივე პროგრამის განვითარებაზე.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული პროგრამული კმაყოფილების კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები კლასტერული პროგრამების ძლიერ მხარედ მიიჩნევენ პერსონალს და თანამედროვე ცოდნის მიღების შესაძლებლობას;

ადგილზე ვიზიტმა ცხადყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ადმინისტრაციული და ყველა სხვა სტრუქტურული ერთეულის მხარდაჭერით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ შესრულებულ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი სამუშაო აღწერილობით.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რიცხვი და დატვირთვა უზრუნველყოფენ საგანმანათებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას, ასევე სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისა სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო შესრულებას. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის (პროგრამაში - ვიზუალური ხელოვნება და სცენოგრაფია) უნდა გაუმჯობესდეს პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

<u>აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)</u>

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

| პროგრამა 1 ფერწერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა); | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს | მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს დარგის მიმართულებით | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 19 | 17 | 5 | 18 |
| პროფესორი: | 4 | 4 | 0 | 3 |
| ასოცირებული პროფესორი | 8 | 7 | 2 | 8 |
| ასისტენტ–პროფესორი | 7 | 6 | 2 | 7 |
| ასისტენტი: | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 20 | 15 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |

საბაკალავრო პროგრამაში - ფერწერა, 11 მხატვარი, რომელებიც იკავებენ აკადემიურ თანამდებობას, აღიარებულია არიან საქართველოში და საერთაშორისო მასშტაბით. ეს მხატვრები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფერწერის სპეციალობასთან დაკავშირებული საგნების სწავლებაში. ორი მათგანი ფერწერის პროგრამის ხელმძღვანელია და აქტიურად მონაწილეობს მის განხორციელებაში. ისინი პასუხისმგებელნი არიან სპეციალობის ფარგლებში რამდენიმე ფუნდამენტური კურსის სწავლებაზე. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის თითოეულ კურსს ატარებენ პროფესორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პედაგოგები თუ სპეციალისტები. მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც გამოიხატება დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ფლობით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობით, ასევე კონფერენციებსა და სემინარებზე წარდგენილი ნაშრომებით. ამრიგად, პერსონალის

პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები უზრუნველყოფს იმას, რომ მასწავლებლები ფლობდნენ გამოცდილებას და ცოდნას, რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება ფერწერაში.

<u>აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)</u>

| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)[7] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს | მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს დარგის მიმართულებით | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 3 | 3 | 0 | 3 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 0 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 1 | 1 | 0 | 1 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | 0 | 1 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 10 | 4 | - | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |

მე-2 პროგრამის (ფერწერა, მაგისტრატურა) განხორციელებაში ჩართულია 13 თანამშრომელი, მათ შორის 3 აკადემიური და 10 მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ჯეროვნად განხორციელებას და პროგრამის მიზნების მიღწევას. 3 აკადემიურ პერსონალს შორის არის 1 პროფესორი, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ-პროფესორი. ყველა მათგანი აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია - 13/21. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი – 3/10, ხოლო კადრების ბრუნვის მაჩვენებელია (აკადემიური პერსონალი – 0, მოწვეული პერსონალი – 5,9). მაგისტრანტთა თანაფარდობა მათ ხელმძღვანელებთან (21/5) შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მეთოდოლოგიას და ხელმძღვანელების დატვირთვას. აკადემიური პერსონალის მხატვრული/კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას და მაგისტრანტთა ხელმძღვანელობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება – ბაკალავრიატი)**

---

აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება – ბაკალავრიატი)[8] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს | მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს დარგის მიმართულებით | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 7 | 5 | 3 | 7 |
| პროფესორი: | 0 | - | - | - |
| ასოცირებული პროფესორი | 4 | 3 | 2 | 4 |
| ასისტენტ–პროფესორი | 3 | 2 | 1 | 3 |
| - ასისტენტი | 0 | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 25 | 19 | 3 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

მე-3 პროგრამის (ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავროატი) განხორციელებაში ჩართულია 32 თანამშრომელი, მათ შორის 7 აკადემიური და 25 მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ჯეროვნად განხორციელებას და პროგრამის მიზნების მიღწევას. 7 აკადემიურ პერსონალს შორის არის 4 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი. ყველა მათგანი აფილირებულია სამხატვრო აკადემიასთან. პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია - 32/73. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი – 7/25, ხოლო კადრების ბრუნვის მაჩვენებელია (აკადემიური პერსონალის – 44,4, მოწვეული პერსონალის – 24,0). პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;

აკადემიური პერსონალის მხატვრული/კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას.

პროგრამის ხელმძღვანელია ასოც. პროფესორი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დამოწმებულია დარგის შესაბამისი განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი პირადად არის ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, რაც გამოიკვეთა გასაუბრებისას.

<u>აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4</u> (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა)

---

აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა)[9] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს | მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [10] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 1 | 1 | 0 | 1 |
| პროფესორი: | 0 | - | - | - |
| ასოცირებული პროფესორი | 1 | 1 | 0 | 1 |
| ასისტენტ–პროფესორი | 0 | - | - | - |
| - ასისტენტი | 0 | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 12 | 8 | - | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

სამაგისტრო პროგრამა „თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება)" უზრუნველყოფილია კომპეტენტური და კვალიფიციური, სფეროში გამოცდილების მქონე კადრებით. მათ აქვთ საჭირო კომპეტენციები, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში; თუმცა, ექსპერტებს სურთ გაამახვილონ ყურადღება პრობლემურ საკითხებზე. 11 პერსონალს შორის მხოლოდ ერთს აქვს აკადემიური თანამდებობა. პროგრამის განვითარების გასაძლიერებლად, სასწავლო პროცესის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად და პროგრამის მიზნების მისაღწევად, რეკომენდებულია ამ სფეროში აკადემიური პერსონალის გაზრდა (მომატება). მაგისტრანტთა თანაფარდობა მათ ხელმძღვანელებთან (1/5) შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მეთოდოლოგიას და ხელმძღვანელების დატვირთვას. აკადემიური პერსონალის მხატვრული/კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას და მაგისტრანტთა ხელმძღვანელობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დამოწმებულია დარგის შესაბამისი განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი პირადად არის ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, რაც გამოიკვეთა გასაუბრებისას.

| პროგრამა 5 (გრაფიკა, ბაკალავრიატი)[11] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის | მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

[9] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

[10] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | | მქონე პერსონალს | პერსონალს დარგის მიმართულებით | |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 10 | 10 | 4 | |
| პროფესორი: | 0 | - | | |
| ასოცირებული პროფესორი | 5 | 5 | 2 | |
| ასისტენტ–პროფესორი | 5 | 5 | 2 | |
| - ასისტენტი | 0 | - | | |
| მოწვეული პერსონალი | 35 | 26 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

საბაკალავრო პროგრამის - გრაფიკის ხელოვნების განხორციელებაში ჩართულია 45 თანამშრომელი, აკადემიურ თანამდებობას იკავებს 10 მხატვარი. ისინი პასუხისმგებელნი არიან სპეციალობის ფარგლებში რამდენიმე ფუნდამენტური კურსის სწავლებაზე. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის თითოეულ კურსს ატარებენ პროფესორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პედაგოგები თუ სპეციალისტები. მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც გამოიხატება დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ფლობით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობით, ასევე კონფერენციებსა და სემინარებზე წარდგენილი ნაშრომებით. ამრიგად, პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები უზრუნველყოფს იმას, რომ მასწავლებლები ფლობდნენ გამოცდილებას და ცოდნას, რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება გრაფიკის ხელოვნებაში. თუმცა, მიზანშეწონილია, რომ გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამებში, სპეციალობის სფეროში.

პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, ფლობენ აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც აუცილებელია საბაკალავრო დონის პროგრამის შემუშავებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია დამოწმებულია დარგში შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და შემოქმედებითი მუშაობით; ისინი პირადად არიან ჩართულნი პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტთა კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება - მაგისტრატურა)[12] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს | მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | დარგის მიმართულებით | |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 3 | 3 | 0 | - |
| პროფესორი: | 0 | - | - | - |
| ასოცირებული პროფესორი | 1 | 1 | 0 | 1 |
| ასისტენტ–პროფესორი | 2 | 2 | 0 | 2 |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | 19 | 13 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

„გრაფიკა/გრაფიკია ხელოვნების" სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 თანამშრომელი, საიდანაც ამ სფეროში სპეციალიზირებულია 18 მხატვარი: 3 აკადემიური პერსონალია, ორი ემერიტუს პროფესორი და 14 მოწვეული ლექტორი. პროგრამის თითოეულ კურსს ატარებენ პროფესორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პედაგოგები თუ სპეციალისტები. მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც გამოიხატება დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ფლობით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობით. ამრიგად, პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, ფლობენ აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც აუცილებელია სამაგისტრო დონის პროგრამის შემუშავებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია დამოწმებულია დარგში შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და შემოქმედებითი მუშაობით; ისინი პირადად არიან ჩართულნი პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტთა კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. თუმცა, მიზანშეწონილია, რომ გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამებში, სპეციალობის სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV-ები);
- •ბაკალავრიატის პერსონალის საშტატო ნუსხა
- მაგისტატურის სემესტრის დატვირთვის ჩამონათვალი
- ხელშეკრულების ნიმუში, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება – ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევ(ები)ა:

პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება - მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება - მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები: მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამებში, სპეციალობის სფეროში.

პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება - მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა: მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამებში, სპეციალობის სფეროში.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

**მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.**

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში წარმოდგენილია სამი სამაგისტრო პროგრამა. ფაკულტეტი უზრუნველყოფს მაგისტრატურის სტუდენტების უზრუნველყოფას მოწვეული ხელმძღვანელით, რომელსაც მინიმუმ მაგისტრის აკადემიური ხარისხი აქვს. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორი, რომელსაც აქვს გამოცდილება მაგისტრანტის მიერ არჩეულ სფეროში.
ხელმძღვანელების შერჩევა ეფუძნება სამაგისტრო პროექტის სფეროსა და თემას, რაც უზრუნველყოფს თითოეულ სტუდენტს ხელმძღვანელად გამოცდილი და კვალიფიციური მხატვრის დანიშვნით. იმ შემთხვევებში, როდესაც ფაკულტეტზე არ არის კვალიფიციური სპეციალისტი, ხელმძღვანელის როლის შესასრულებლად იწვევენ გარე ექსპერტებს.
ხელმძღვანელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნისას დახმარებაში, გზამკვლევობის უზრუნველსაყოფად და კონსულტაციების გაწევაში. ნამუშევრის დაცვის დროს ხელმძღვანელი წარუდგენს ნამუშევარს ფერწერის, გრაფიკული დიზაინის, თეატრალური მოდელის, ვიდეო ინსტალაციის თუ სხვა შესაბამისი საშუალებით. ისინი ასევე აწვდიან საბჭოს ინფორმაციას სამუშაოს მიმდინარეობისა და მისი შინაარსის შესახებ.
მაგისტრანტს უფლება აქვს აირჩიოს თავისი ხელმძღვანელი. ეს იძლევა პერსონალიზებული მიდგომის საშუალებას და უზრუნველყოფს სტუდენტების კვლევით-შემოქმედებით ინტერესებსა და არჩეული ხელმძღვანელის გამოცდილებას შორის თავსებადობას. ფაკულტეტი აღიარებს ამ არჩევანის

მნიშვნელობას და ხელს უწყობს დამხმარე გარემოს ეფექტური ხელმძღვანელობისათვის სამაგისტრო პროექტის მთელი შესრულების განმავლობაში.
სამივე პროგრამაში ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და ფუნქციებს.

| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)[13] | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [14] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 5 | 0 | 5 |
| პროფესორი: | 2 | 0 | |
| ასოცირებული პროფესორი | 1 | 0 | |
| ასისტენტ–პროფესორი | - | 0 | |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 0 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | _ |

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სახელწოდება და საფეხური)

**„ფერწერის“ სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს ხუთი ლექტორი. ამ ხელმძღვანელებიდან ორი აკადემიური პერსონალის წევრია და ერთი ასევე წარმოადგენს ფერწერის პროგრამის ხელმძღვანელს. სამი პირი მოწვეული ლექტორია.** სამხატვრო აკადემიამ შემუშავებული აქვს გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისადმი. რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო დონის ხელმძღვანელოობის მოთხოვნებს და პასუხობენ ფერწერის სამაგისტრო პროგრამას.

| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება)[15] |
|---|

---

[13] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.
[14] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.
[15] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [16] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 3 | 0 | 1 |
| პროფესორი: | 0 | 0 | 0 |
| ასოცირებული პროფესორი | 1 | 0 | 1 |
| ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 0 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 |

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება), მაგისტრატურა)

**„თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნების)" სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 8 მხატვარი. ერთი არის აკადემიური პერსონალის წევრი, რომელიც უძღვება პროგრამას მოწვეულ ლექტორებთან ერთად. სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს სამი ლექტორი: ერთი ასოცირებული პროფესორი და ორი მოწვეული ლექტორი. მიზანშეწონილია, რომ გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში.** თითოეული მაგისტრანტის ხელმძღვანელი აღჭურვილია **სცენოგრაფიის ხელოვნების** უახლესი ცოდნით და აქტიურად მონაწილეობდა შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტში, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის შემოქმედებითი ნაშრომის ზოგად თემას და მიმართულებას;

| პროგრამა 6 (გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა)[17] | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [18] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

[16] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.
[17] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.
[18] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

| | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 5 | 0 | 5 |
| პროფესორი: | 0 | 0 | 0 |
| ასოცირებული პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 5 | 0 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 |

აღწერა და ანალიზი -

„გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების“ სამაგისტრო პროგრამაში ამ სფეროში სპეციალიზირებული 16 ხელოვანია. მათ შორის სამი აკადემიური პერსონალი და ორი ემერიტუს-პროფესორი. ერთი არის გრაფიკის/გრაფიკის ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობს ხუთი მასწავლებელი, მათ შორის ორი ემერიტუს-პროფესორი. მიუხედავადვ ამისა, მიზანშეწონილია, რომ უზრუნველყოფილ იქნას აკადემიური პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV-ები);
- მასალები სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესახებ.
- ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (დასახელება, დონე) | X | ☐ | ☐ | |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

**➢ უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.**
**➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.**

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამხატვრო აკადემია წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (თბილისის სამხატვრო აკადემიაში კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 მარტის სხდომაზე, N52), აკადემიაში შემუშავდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა შეფასების მექანიზმები. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ანგარიშს პროგრამის პერსონალის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოზე განხილული ანგარიშები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და იგზავნება კვლევისა და განვითარების დეპარტამენტში. ფაკულტეტის ანგარიშები უნდა შეიცავდეს შეფასების შედეგებს, რომელიც ასახავს პიროვნულ შემოქმედებით საქმიანობას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დანართის მიხედვით (დანართი N3 და დანართი N4).
თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების სისტემა უფრო მეტ კონკრეტულობასა და პრაქტიკაში რეგულარულად დანერგვას საჭიროებს. ზოგადად, შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება გაზომვადი ინდიკატორებით უაღრესად პირობითია და ყოველთვის ვერ ქმნის ობიექტურ სურათს. ამიტომ, დაწესებულებამ უნდა სრულყოს შეფასების კრიტერიუმები და რეგულარულად ჩაატაროს პერსონალის შეფასებები.
დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვას. პარტნიორ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს გაეცნოს სწავლის/სწავლების და სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. დაწესებულება ხელს უწყობს თანამშრომლებს, რომ დაუკავშირდნენ მხატვრული პროფილის ადგილობრივ და უცხოურ დაწესებულებებს და ჩაერთონ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში. თუმცა პროგრამის ბიუჯეტში შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული.

დაწესებულებაში არსებობს სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების შიდა დაფინანსების წესი. თუმცა, როგორც დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების შედეგებმა გვაჩვენა, დაწესებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტი სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, პროექტების შეფასების კრიტერიუმები არ არის შემუშავებული და პროექტებს აფასებს რექტორის კომისია. უმჯობესია შეფასება მოახდინოს დარგის სპეციალისტების მიერ დამტკიცებულმა კომისიამ, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამშრომლებს გაუჭირდებათ შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, რაც უარყოფითად აისახება პროგრამის ხარისხზე.
რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. რეკომენდირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციულიპერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში;
- თვითშეფასების ანგარიში

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.

კლასტერის საერთო რჩევები:

მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | ☐ | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | ☐ | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | x | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | x | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები ადეკვატურად არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. აუდიტორიები და სამუშაო ადგილები საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების მისაღწევად აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, დაზგური მოწყობილობებით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით. აკადემიას აქვს ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც აგროვებს ამ სფეროში უახლეს ლიტერატურას და ახდენს მის რეგულარულად განახლებას. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა.

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი სახელმძღვანელოები. თსსა-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო მასალებით და სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე ბიბლიოთეკის წიგნების მონაცემთა ბაზაზე წვდომით. სტუდენტებს ეცნობებათ ბიბლიოთეკის რესურსების განახლებების შესახებ; თუმცა, სამკითხველო დარბაზის რეკონსტრუქციის გამო, სტუდენტებს არ შეუძლიათ მისი გამოყენება. შესაძლებელია მხოლოდ წიგნის გატანა, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე ეგზემპლარად. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება და სტუდენტები შეძლებენ სამკითხველო დარბაზით სარგებლობას.

სტუდენტებს აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალებთან, ციფრულ რესურსებთან და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან. ეს რესურსები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზები მითითებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. ამჟამად აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ მონაცემთა ბაზებზე:

1. Elsevier-Scopus (https://www.scopus.com/home.uri);
2. Elsevier - ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/);
3. საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (https://eric.ed.gov/;
4. სოციალური მეცნიერებების კვლევის ქსელი (https://www.ssrn.com/index.cfm/en/);
5. Bielefeld Academic Search Engine (https://www.base-search.net/);
6. Jstor (https://www.jstor.org/);
7. EIFL (https://eifl.remotexs.xyz/user/login);
8. JURN (http://www.jurn.org) - ხელშეკრულება გაფორმებულია JURN-თან.
9. აკადემიური კვლევის გაზიარების პლატფორმა ACADEMIA (https://www.academia.edu/) - ACADEMIA-მ გააფორმა ხელშეკრულება.
10. Perlego (www.perlego.com) - ხელშეკრულება გაფორმებულია Perlego-თან.

გასაუბრების დროს სტუდენტების მიერ გამოთქმული საერთო წუხილი ეხებოდა სამუშაო მასალების ნაკლებობას. ტექნიკურ ნაწილში სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს შემდეგ პრობლემებს: კომპიუტერების, დინამიკების, პროექტორების არქონას, მოლბერტების ცუდ მდგომარეობას, განათების პრობლემას და სხვა. სტუდენტები უკმაყოფილონი არიან „მოძველებული" ნატურებით, სურთ განახლება და მათი რიცხვის გაზრდა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ფერწერა (ბაკალავრიატი):**

ფერწერის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს წვდომით აკადემიის ბიბლიოთეკებში არსებულ მატერიალურ რესურსებზე და პრაქტიკული სწავლების დროს. ადგილზე ვიზიტის და ობიექტების დათვალიერებისას დადასტურდა, რომ სამუშაო სივრცეები და სამუშაო ოთახები ითვალისწინებენ პროგრამის სპეციფიკას. აუდიტორიები და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, რაც ეხმარება სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. ფერწერის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს წვდომით აკადემიის ბიბლიოთეკებში არსებულ მატერიალურ რესურსებზე და პრაქტიკული სწავლების დროს. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიიღონ საჭირო მხარდაჭერა და ზედამხედველობა მათი მუშაობის დროს. თუმცა, ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს სამუშაო მასალების ნაკლებობა და „მოძველებული" ნატურებით უკმაყოფილება, მათ სურთ ნატურების განახლება და რაოდენობის გაზრდა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფერწერა (მაგისტრატურა):**

საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, ფერწერის მაგისტრანტებს შეუძლიათ გამოიყენონ აკადემიის მიერ მოწოდებული მატერიალური რესურსები, ბიბლიოთეკებისა და პრაქტიკული სასწავლო შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით. თუმცა, მათ აქვთ მეტი ავტონომია გადაწყვეტილების მიღებისას და მუშაობენ დამოუკიდებლად, მათ ლექტორთან ან ხელმძღვანელთან შეთანხმებითა და მათი ზედამხედველობის ქვეშ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი):

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას აქვს ფერწერის პროგრამის მსგავსი მიდგომა, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა მატერიალურ რესურსებზე სწავლის პერიოდში და პრაქტიკულ სწავლებაზე. ამ კუთხით სათანადო ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად საჭიროა საგნის ლექტორის თანდასწრება და ხელმძღვანელობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება) (მაგისტრატურა)

თეატრის მხატვრობის პროგრამის სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა მატერიალურ რესურსებზე სწავლის, პრაქტიკული სწავლებისა და სადიპლომო ნაშრომის მომზადების განმავლობაში. ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ ლექტორთან ან ხელმძღვანელთან შეთანხმებით და სამუშაოს ასრულებენ დამოუკიდებლად სახელოსნოს კურატორების თანდასწრებითა და ზედამხედველობის ქვეშ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი):

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ სწავლის, პრაქტიკული სწავლებისა და სადიპლომო ნაშრომის მომზადებისას არსებული მატერიალური რესურსები. სხვა პროგრამების მსგავსად, აუცილებელია საგნის ლექტორის ან ნაშრომის ხელმძღვანელის თანდასწრება და ხელმძღვანელობა. აუდიტორიები და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, რაც ეხმარება სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. სტუდენტმა აღნიშნა მოლბერტების ცუდი მდგომარეობა და სამუშაო ოთახებში განათების პრობლემები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა):

გრაფიკის/გრაფიკის ხელოვნების მაგისტრანტებს სწავლის, პრაქტიკული მეცადინეობისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების განმავლობაში წვდომა აქვთ მატერიალურ რესურსებზე. მათ აქვთ მეტი ავტონომია გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ მაინც საჭიროებენ მათი ლექტორითან ან ხელმძღვანელთან შეთანხმებას და მის ზედამხედველობას, სახელოსნოს კურატორების თანდასწრებასთან/ზედამხედველობასთან ერთად. აუდიტორიები და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, რაც ეხმარება სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. ინტერვიუს მსვლელობაში სტუდენტმა აღნიშნა მოლბერტების ცუდი მდგომარეობა და სამუშაო ოთახებში განათების პრობლემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზები [https://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=48](https://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=48)
- ○ ელექტრონული სასწავლო პორტალი;
- ○ სამუშაო ოთახები, ტექნიკური მოწყობილობები და სტუდენტთა რაოდენობის კოეფიციენტი;
- ○ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფომდის ფლობის დოკუმენტი;
- ○ საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ○ მატერიალურ-ტექნიკური გარემოს შეფასება;
- ○ თვითშეფასების ანგარიში;
- ○ ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აუდიტორიების ტექნიკური დამხმარე საშუალებები მომარაგება, რათა სტუდენტს ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა მასალებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. გარდა ამისა, სამუშაო მასალების დროულად მიწოდება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის მასალებზე, რომელთა გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ინტერვიუებისას გაირკვა, რომ კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი სასწავლო მასალისა და წიგნებისთვის იყო 60000-70000 ლარი. კლასტერის ყველა პროგრამას აქვს ზრდა 2023 წლის ბიუჯეტში, გარდა თეატრის მხატვრობის/სცენოგრაფიის ხელოვნების სამაგისტრო პროგრამისა. სამწუხაროდ, პრაქტიკისა და საველე კვლევებისთვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევისათვის არანაირი ხარჯი არ იყო გამოყოფილი.
ფერწერის ბაკალავრიატის, ფერწერის მაგისტრატურის და თეატრის მხატვრობის/სცენოგრაფიის ხელოვნების პროგრამაში მითითებული სასწავლო მასალისთვის დახარჯული თანხა (940,342 ლარი) ზუსტად იგივეა და გაცილებით დაბალია, ვიდრე გრაფიკის ხელოვნებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)

პროგრამაში ნაჩვენები დადებითი ბალანსი 55537.658 ლარია. მეტი თანხა შეიძლება დაიხარჯოს სტუდენტებისთვის მხატვრული მასალების მიწოდებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)

პროგრამაში ნაჩვენებია მცირე ნამატი 994.658 ლარის ოდენობით. თანხის უმეტესი ნაწილი დაიხარჯა მოწვეული მასწავლებლებისა და პერსონალის ხელფასებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი)

პროგრამაში ნაჩვენებია ნამატი 48992.315 ლარის ოდენობით. ამასთან შედარებით დაბალია სასწავლო მასალებისთვის დახარჯული 3919,685 ლარი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობის/სცენოგრაფიის ხელოვნების მაგისტრატურა)

პროგრამაში ნაჩვენები უარყოფითი ბალანსი -24902.342 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის გეგმის მიხედვით ზუსტად ამდენივე 940,342 ლარი დაიხარჯა სასწავლო მასალებისთვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორივე პროგრამამ ზუსტად ერთიდაიგივე თანხა დახარჯა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება ხელოვნება – ბაკალავრიატი)

პროგრამაში ნაჩვენებია ნამატი 100874.822 ლარის ოდენობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 ( გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება – მაგისტრატურა)

პროგრამაში ნაჩვენებია დადებითი ბალანსი 50496.702 ლარის ოდენობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსთან
- ბიუჯეტის დოკუმენტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

ბიუჯეტი უნდა გამოიყოს პრაქტიკისა და საველე სამუშაოებისათვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევისათვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

ბიუჯეტში არსებული ნამატის გათვალისწინებით, მეტი თანხა შეიძლება გამოიყოს სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო მასალებით. ბიუჯეტის დოკუმენტაციის მიხედვით ერთ სტუდენტზე მხოლოდ 8,5 ლარია დახარჯული.

პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

ბიუჯეტში არსებული ნამატის გათვალისწინებით, მეტი თანხა შეიძლება გამოიყოს სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო მასალებით. ბიუჯეტის დოკუმენტაციის მიხედვით ერთ სტუდენტზე დახარჯულია მხოლოდ 44,8 ლარი.

პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

იმისათვის, რომ პროგრამა უფრო მდგრადი გახდეს, თავიდან უნდა იქნას აცილებული უარყოფითი ბალანსი.

პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

მეტი თანხა შეიძლება დაიხარჯოს სტუდენტებისთვის მხატვრული მასალების მიწოდებაზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (თეატრის მხატვრობა, სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ის დაგეგმვის, შემუშავების ან/და მოდიფიკაციის პროცესებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის უნივერსიტეტის დეპარტამენტს და შესაბამის სამსახურებს 5 ფაკულტეტზე.

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზნები აკადემიაში განათლების შიდა ხარისხის შეფასების თვალსაზრისით არის:

- სამივე დონის საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარება
- ხარისხის კულტურის ამაღლება.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს შორის იდენტიფიცირებულია შემდეგი: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები; საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. შეფასების პროცესებს ახორციელებენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ინტერვიუებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჯვარედინი ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ მუდმივად იღებდნენ კითხვარებს. მაგრამ მათ ასევე თქვეს, რომ ისინი აფასებდნენ მხოლოდ ლექტორებს ყოველი სემესტრის ბოლოს.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა/შემუშავება/მოდიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარე შეფასება/განვითარება ხდება წინასწარ დადგენილი წესით და პროცედურებით, ასევე წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ არსებობს თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შორის. პროგრამის ხელმძღვანელები თავიანთ თანამშრომლებთან ერთად აცნობიერებენ პროგრამის შინაარსს და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს. ერთი რამ, რაც უნდა დაიხვეწოს, არის ის, რომ მოწვეულ ლექტორს მიენიჭოს უფლება შეცვალოს მათი სილაბუსები და იყოს პროგრამების მოდიფიკაციის ნაწილი. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კლასტერის პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადება ასევე იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც თანაბრად იყვნენ ჩართულნი აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

და ბოლოს, ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს და მხარი დაუჭიროს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუშაობას. კმაყოფილების გამოკითხვები, რომლებშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, უნდა იყოს გამოსადეგი და აჩვენოს, რომ ისინი ემსახურებიან სიტუაციის გაუმჯობესებას. ყველა ჯგუფი უნდა იყოს ინფორმირებული მათი შედეგებისა და გაუმჯობესების გეგმების შესახებ, რომლებიც განხორციელდება ამ კვლევების შედეგების წყალობით. გამოკითხვის შედეგები და გაუმჯობესების გეგმის მიზნები უნდა იყოს კონკრეტული თითოეული პროგრამისათვის და ხელმისაწვდომი ვებგვერდსა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- **კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;**
- **ინტერვიუს შედეგები;**
- **კლასტერის პროგრამები;**
- **პროგრამების მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარება;**
- **შეფასების შედეგები.**
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- მოწვეული ლექტორები ჩართულნი უნდა იყოს პროგრამისა და სილაბუსების მოდიფიცირების პროცესში.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აკონტროლოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ შეფასების შედეგების მიღება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| ფერწერა (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| ფერწერა (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| თეატრის მხატვრობა/სცენოგრაფიის ხელოვნება (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი აღიარებს ავტორიზაციას და აკრედიტაციას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა კლასტერის პროგრამების გარე (კოლეგიალური) შეფასება და ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ დოკუმენტებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარე შეფასებები გადამწყვეტია პროგრამის განვითარების პროცესებისათვის და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს გარე შეფასების ფორმები, რომლებიც შეივსება უცხოელი კოლეგა-შემფასებლების მიერ, თუნდაც სხვადასხვა დაწესებულებებთან საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში. ამრიგად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების სტრატეგია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- **კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;**

- **ინტერვიუს შედეგები;**
- **კლასტერის პროგრამები;**
- **გარე შეფასებები.**

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიიღონ კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისათვის, თუნდაც საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში.**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| ფერწერა (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| ფერწერა (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| თეატრის მხატვრობა/სცენოგრაფიის ხელოვნება (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. ფაკულტეტის საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელებას აფასებენ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ერთმანეთთან კოორდინაციით. თვითშეფასების ანგარიშსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პროცესი ეფუძნება შემდეგ მონაწილეებს: ა) სტუდენტები; ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი გ) პოტენციური დამსაქმებლები; დ) პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, რომელიც ეხება მოქმედ პროგრამებს, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტების გამოკითხვას კურსების შესაფასებლად, ხოლო კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების პროცესში. ასევე, პროგრამის განხორციელებისას სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩართული პროფესორები და პროგრამის ხელმძღვანელი წარადგენენ ანგარიშს პროგრამის ან სასწავლო კურსების მიმდინარეობის შესახებ. გამოკითხვისა და ანგარიშის შედეგებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებენ მხარეებისათვის გაუმჯობესების რეკომენდაციებს. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ეხება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ინტერვიუებსა და ჯვარედინ გამოკითხვებზე დაყრდნობით, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა იგივე ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უნდა ატარებდეს სტუდენტების გამოკითხვას არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც. ადგილზე ვიზიტისას ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დამატებით წარმოადგინა მხოლოდ კითხვარი და არა შეფასების რეალური შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების პროცესში საერთაშორისო ტენდენციების გასათვალისწინებლად, კლასტერული პროგრამები შეადარეს პოლონეთის უნივერსიტეტის მსგავს პროგრამებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შედარებითი ანალიზი არ მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამების სამომავლო განვითარების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- კლასტერის პროგრამები;
- მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზის ნიმუში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის

განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც.

- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული ხასიათი და აქტიურად ხდებოდეს შედეგების

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| ფერწერა (ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| ფერწერა (მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| თეატრის მხატვრობა/სცენოგრაფიის ხელოვნება (მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფერწერა (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| ფერწერა (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| ვიზუალური ხელოვნება (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| თეატრის მხატვრობა/სცენოგრაფიის ხელოვნება (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (ბაკალავრიატი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| გრაფიკის ხელოვნება (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

ფერწერის ბაკალავრიატი, ფერწერის მაგისტრატურა, ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრიატი, სცენოგრაფიის ხელოვნების მაგისტრატურა, გრაფიკის ხელოვნების ბაკალავრიატი, გრაფიკის ხელოვნების მაგისტრატურა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| სარჩევი: / სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება | 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ფერწერა, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ფერწერა, მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 ( ვიზუალური ხელოვნება, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 4 (სცენოგრაფიის ხელოვნება, მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 5 (გრაფიკის ხელოვნება, ბაკალავრიატი) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 6 (გრაფიკის ხელოვნება, მაგისტრატურა) | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

პროფესორი იორგ ობერგფელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ასოცირებული პროფ. თამარ ჩხეიძე

ანი ქვათაძე

ლევან ხარაზიშვილი

სოსო გაზდელიანი